ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge



გვ.7

## „ბიძინა კუჭავა მოკლულია“

მისი მეუღლე პროკურატურაში დაიბარეს

22 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

შემეცნებითი მოთხრობები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



ორშაბათი, 25 მარტი, 2019 №70 (8024) ფასი: 60 თეთრი

# „ივანიშვილის შემცვლელად ამერიკელები ირაკლი ალასანიას განიხილავენ“

გვ.4



## „ირაკლი კობახიძემ თანამდებობა კომპრომატებით შეინარჩუნა“



## ხათუნა ლაგაზიძე: „არჩევნებამდე დარჩენილი დრო გახარიასთვის სერიოზული გამოწვევა იქნება“



გვ.3



სანდრო ბრეგაძე: „მაისში შეიძლება რევოლუცია დაიწყოს“



## ნაციონალურმა მოძრაობამ პარტიის თავმჯდომარედ გრიგოლ ვაშაძე აირჩია

გვ.2

## ნაზი ჯანეზაშვილი: „ნინო გვენეტაძე ამბობდა, შეიძლება, ხელითაც შემეხნენო“

გვ.5



### სამართალი

გვ.7



ყოფილი მეუღლეების ცემისთვის 60 და 51 წლის მამაკაცები დააკავეს



13 წლის ძმისშვილის მკვლელობაში ბრალდებულ ვალერი ირემაძეს ორწლიანი იძულებითი მკურნალობა განესაზღვრა



ვაკეში მოსახლეობა პოლიციას დაუპირისპირდა

„გასაქანს აღარ აძლევენ ამ ბიჭებს“

### ეკონომიკა

გვ.6

მაია ცქიტიშვილი: „არ ვარ ნამყოფი ანაკლიაში, ჩვენი პარტნიორობა არ არის ჩემი და მამუკას სეირნობა ანაკლიის სანაპიროზე“





მამუკა ხაზარაძე: „როდესაც ჩვენ გვეპატიჟა რაღაც, ასევე სახელმწიფომაც მოგვთხოვა თავისი ვალდებულებების გადავადება“



შშმ პირთათვის განკუთვნილ ადგილებზე მანქანების პარკირებაზე ჯარიმა 50 ლარამდე იზრდება

ISSN 1987-9385

**6** შეუშვებენ თუ არა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საერთაშორისო დამკვირვებლებს?

**8** ინგლისელები ბრექსიტის წინააღმდეგ

**7** ვაჟა-ფშაველაზე, რესტორან HB-ში, პოლიცია ტყვიებს ეძებდა

**8** სირიაში ისლამური სახელმწიფო აღარ არის

# ნაციონალურმა მოძრაობამ პარტიის თავმჯდომარედ გრიგოლ ვაშაძე აირჩია

## მიხეილ სააკაშვილი: „მალე ხელისუფლებაში მოვა დიდი კოალიცია“

შორენა მარსაგიშვილი





ნაციონალურ მოძრაობას ახალი თავმჯდომარე ჰყავს. პარტიის მერვე ყრილობამ წინამძღოლად გრიგოლ ვაშაძე აირჩია.

ნაცმოძრაობის ყრილობას მისი შემქმნელი – მიხეილ სააკაშვილი – თვალს სკაიპით ადევნებდა.

ყრილობის დელეგატებმა პარტიის თავმჯდომარე ელექტრონული სისტემით აირჩიეს. არჩევანის გაკეთება ნაციონალებს არ გასჭირვებიათ, რადგანაც მხოლოდ გრიგოლ ვაშაძის კანდიდატურა იყო წარდგენილი.

პარტიის თავმჯდომარის პოსტი რამდენიმე დღის წინ გახდა ვაკანტური. საქართველოს მესამე პრეზიდენტმა გასულ კვირას თავად თქვა უარი პარტიის წინამძღოლობაზე.

პარტიის თავმჯდომარის გარდა, ნაციონალებმა აღმასრულებელი მდივანი და პოლიტსაბჭოს თავმჯდომარეც აირჩიეს. ამიერიდან აღმასრულებელი მდივანი კობა ნაყოფია იქნება, პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე კი – ნიკა მელია.



ამ გადაწყვეტილების შემდეგ პარტიიდან მელიას წასვლის შესახებ დაწყებული მითქმა-მოთქმა შეწყდება. უკვე რამდენიმე კვირაა, რაც აქტიურად საუბრობენ, რომ მელიას სააკაშვილთან მოუვიდა უთანხმოება და ის პარტიიდან მიდის.

ეს ვარაუდი რამდენიმე დღის წინ მიღებულმა გადაწყვეტილებამაც გაამყარა. აქამდე ყველამ იცოდა, რომ ნიკა მელია იქნებოდა ზუგდიდში პარტიის მერობის კანდიდატი. რამდენიმე დღის წინ გაერთიანებულმა ოპოზიციამ ზუგდიდში მერობის კანდიდატად სანდრა რულოვსი ოფიციალურად დაასახელა.

ეს 22 მარტს მოხდა და მეოცნებეებმა დიაგნოზი დასვეს, ახლა მელია საბოლოოდ გაემიჯნება პარტიასო. პროგნოზი არ გამართლდა. ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი პოლიტსაბჭოს ჩაუყენეს სათავეში.

თანაპარტიელებს სიტყვით მიმართა მიხეილ სააკაშვილმაც. სკაიპით ჩართვისას მან სიამაყით ისაუბრა ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდზე.

მისი თქმით, ეს ცხრა წელი საქართველოს ისტორიაში თავისი დიდი, წარმოუდგენელი მიღწევებით შევიდა.

მესამე პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ძალიან მალე ხელისუფლებაში მოვა დიდი, ფართო პატრიოტული კოალიცია.

– საქართველო დიდ განსაცდელშია. ყოველი დღე, როდესაც ივანიშვილი აგრძელებს საქართველოს ძარცვას, გვაახლოებს საქართველოს განადგურებასთან და ქვეყნის აღსასრულთან. ძალიან მარტივი სისტემაააწყვეს ამათ –– ხალხს ძარცვავენ, ყრიან ქვეყნიდან, აღატაკებენ. ეს არის მოჯადოებული წრე. ჩვენ უნდა გავარღვიოთ ეს მოჯადოებული წრე. საქართველო იქნება ძალიან წარმატებული ქვეყანა. ხელისუფლებაში მოვა დიდი, ფართო პატრიოტული კოალიცია და ეს იქნება ქვეყანა, რომელიც შეძლებს, სულ ახალი მეთოდები დანერგოს, მათ შორის, პირდაპირი ელექტრონული დემოკრატიის.

ჩვენ უნდა მივცეთ საშუალება საქართველოს მოქალაქეებს, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, მართონ თავიანთი ქვეყანა სმარტფონის მეშვეობით. ნაციონალური მოძრაობა არის, ერთი მხრივ, დიდი იდეების მქონე ორგანიზაცია და პარტია, მაგრამ, პირველ რიგში, ჩვენ ვართ ხალხის პარტია, – აღნიშნა სააკაშვილმა.

სააკაშვილის თქმითვე, საუბარი იმაზე, რომ წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდი იყო სისხლიანი ცხრა წელი, არის რუსული კლიშე და სხვა არაფერი.

– უნდა მორჩეს თავზე ნაცრის დაყრა, რადგან ფაქტი ჯიუტია. ვინც რა არ უნდა ილაპარაკოს, ეს ცხრა წელი იყო არა სისხლიანი ცხრა წელი, ეს არის რუსული კლიშე და, ვინც ამას იმეორებს, ის არის ჩვეულებრივი პუტინის გოშია და მონა, რადგან პუტინმა ვერ გვაპატია ის, რომ ეს იყოს ყველაზე წარმატებული ცხრა წელი საქართველოს მთელ მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ყოველ შემთხვევაში, ბოლო საუკუნეების განმავლობაში. ეს იყო ყველაზე წარმატებული ცხრა წელიწადი საქართველოს ისტორიაში მრავალი საუკუნის განმავლობაში თავისი დიდი, წარმოუდგენელი მიღწევებითა და თავისი შეცდომებით, გადამეტებებით. აბა, როგორ გინდათ თქვენ, როცა რაღაც დიდსა და განსაკუთრებულს ქმნით. ჩვენ შევქმენით ის, რაზეც ვსაუბრობ, თქვენ შექმენით, – განაცხადა საქართველოს მესამე პრეზიდენტმა.

პარტიის ახალი თავმჯდომარე გრიგოლ ვაშაძე ამბობს, რომ მისი წინამორბედი ნაცმოძრაობის საქმიანობაში კვლავ აქტიურად ჩაერევა.

– მიხეილ სააკაშვილი არის ამ პარტიის დამფუძნებელი, მიხეილ სააკაშვილი არის ჩემი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილის არის პარტიის საპატიო თავმჯდომარე, მიხეილ სააკაშვილი ებრძვის იმ ძალას, რომელმაც მოახდინა ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია 90-იანი წლების დასაწყისში და შემდეგ საერთაშორისო სამართლის თავზე გადახევით მოახდინა ყირიმის ოკუპაცია და ომის გაჩაღება აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში.

საქართველოში არ არსებობს ჟურნალისტი ან პოლიტიკურად გათვითცნობიერებული მოქალაქე, რომელმაც არ იცოდეს, რომ საქართველოს, მოლდოვის, უკრაინის დემოკრატია და მათი საერთაშორისო პოლიტიკა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, რადგან ევროპის კავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის ჩვენ ვართ ერთნი. ასე რომ, მიშა არავითარ ჩამოშორებას არ აპირებს, უკრაინის ბრძოლა საქართველოსთვის ბრძოლის გაგრძელებაა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში გრიგოლ ვაშაძემ.

განცხადება გააკეთა პარტიის ახალმა აღმასრულებელმა მდივანმა. კობა ნაყოფია დარწმუნებულია, რომ ნაცმოძრაობას ახალ სულს ჩაჰბერავს და ახალ ტალღებსაც ააგორებს.

– მე თავიდანვე ვიყავი ნაციონალურ მოძრაობაში, არც ერთი სხვა პოლიტიკური პარტიის წევრი არ ვყოფილვარ. მეამაყება, რომ ვარ და ვიქნები იქ, სადაც ღირებულებითი თანხვედრა არის ჩემს თანაგუნდელებთან.

რაც შეეხება ჩემს პოლიტიკურ გააქტიურებას, კარგი გამოცდილება მაქვს მენეჯმენტში. მე ვთვლი, რომ პარტიას სჭირდება ახალი ძალა, სჭირდება ბევრი ახალი ადამიანი, ბევრი საინტერესო პროექტი. დღეს ჩვენ უკვე დავიწყეთ ელექტრონული დემოკრატიის დანერგვა და ძალიან ახლო მომავალში წარვუდგენთ საზოგადოებას გეგმებსა და სტრატეგიას. მე მიმაჩნია, რომ ახალ ტალღას, ახალ სულს ჩავბერავ ჩვენი პარტიის საქმიანობას, – დადო პირობა კობა ნაყოფიამ.

ნაცმოძრაობა მიხეილ სააკაშვილის გარეშე ვერ წარმოუდგენია ნიკა მელიას, პარტიას კი პოლიტიკურ ოჯახად მიიჩნევს.

მისი თქმით, ამ პოლიტიკურმა ოჯახმა საქართველოში ბევრი რამე უკეთესობისკენ შეცვალა.






– არ იყო იმედი, რომ ოდესმე შეიცვლებოდა ის, რაშიც ჩვენ ვცხოვრობდით. ეს იყო შეუმდგარი სახელმწიფო, სადაც უცხოელისთვის სტუმრად ჩამოსვლაც კი იყო საშიში. ელემენტარულად, არსებობდა რისკი, რომ მას ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცებდნენ, ეს საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული ბიზნესი გახლდათ და ამის შემდეგ ამ პოლიტიკურმა ოჯახმა ისე განავითარა ტურიზმი და ტურისტული პროექტები, წელს უკვე ვსაუბრობთ, რომ ამ ქვეყანაში 9 მილიონი ტურისტი შემოდის, – სიამაყით აცხადებს პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

ნიკა მელიამ იმ შეცდომებზეც ისაუბრა, რომლებიც, მისი თქმით, პარტიამ დაუშვა. ამასთან, მან ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ნაცმოძრაობა არის ერთადერთი პარტია, რომელმაც მშვიდობიანი გზით გადასცა სხვა პოლიტიკურ ძალას ხელისუფლება.

მელიას განცხადებით, ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქვეყანამ მიიღო მეტი სიღარიბე, უმუშევრობა, უსამართლობა, გაზრდილი კრიმინალი.

– ჩვენ ვიხილეთ გაბოროტებული ოლიგარქი, რომელიც ფეხქვეშ თელავს სახელმწიფო ღირსებას. „ოცნება“ შეგვპირდა მშვიდობას და სანაცვლოდ მივიღეთ ოკუპანტების მიერ მოკლული მეტი და მეტი ადამიანი. ოკუპაციის ხაზის მუდმივი გადმოწევა ხდება. სულ უფრო მეტ ჩვენ თანამოქალაქეს არ ეძლევა საშუალება ოჯახის წევრების საფლავებზე მისვლის, – აღნიშნა მელიამ.

პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა თანაპარტიელების დევნასა და შერჩევით სამართალზეც ისაუბრა.

დეპუტატის თქმით, ხელისუფლება მიზანმიმართულად ახდენს ზეწოლას პარტიის აქტივისტებზე და აპატიმრებს მათ.

ნიკა მელიამ გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალ პარტიებს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ პოლიტიკური მოძრაობების ერთობა ახლა, როგორც არასდროს, არის გადამწყვეტი ივანიშვილის ხელისუფლების დასასრულებლად.

ნაცმოძრაობის განახლებას მიესალმებიან პარტიიდან გამოყოფილებიც. „ახალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ საგანგებო განცხადებაც გაავრცელა.

– გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთ ლიდერს, ბატონ გრიგოლ ვაშაძეს ვულოცავ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ არჩევას, ვუსურვებ წარმატებასა და გამარჯვებას ერთიანი საქართველოს იდეისთვის ბრძოლაში!

ასევე, ვულოცავ ნაციონალურ მოძრაობას ამ მნიშვნელოვან დღეს და დღევანდელ წარმატებულ ყრილობას. დღეს გაერთიანებული ოპოზიცია იმაზე ძლიერია, ვიდრე იყო გუშინ, იმაზე ერთიანია, ვიდრე გუშინ!

ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ჩვენ დავდექით ერთად და ჩავერთეთ ბრძოლაში, გვაქვს გამოსავლის კონკრეტული ფორმულა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავამარცხოთ ის გაჭირვება, რომელშიც დღეს ვიმყოფებით!

ჩვენი კარი ღიაა ყველა პროდასავლური ორიენტაციის მქონე პარტიისთვის. ერთად ჩვენ შევცვლით! ძალა ერთობაშია! ძალა ხალხშია! – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

ყრილობას ესწრებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი დევი ჭანკოტაძე.

ის ამბობს, რომ ნაცმოძრაობის პოლიტიკას იზიარებს და ამ პარტიაში გაწევრიანების სურვილი აქვს.

– ყრილობაზე ვიმყოფები სტუმრის სტატუსით. აბსოლუტურად ვიზიარებ ნაციონალური მოძრაობის პოზიციას, პროგრამას და მხარს ვუჭერ.

იმედი მაქვს, გაიმარჯვებენ არჩევნებში და საქართველოს ეყოლება ნამდვილი პატრიოტი, ეროვნული მთავრობა და პარლამენტი. აუცილებლად მინდა, რომ შევიდე მათ რიგებში. ალბათ მალე მიმიღებენ, – განაცხადა დევი ჭანკოტაძემ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ხათუნა ლაგაზიძე: „არჩევნებამდე დარჩენილი დრო გახარიასთვის სერიოზული გამოწვევა იქნება“

**იაგო ნაცვლიშვილი**

22 მარტს „ტვ პირველის“ ეთერში შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ ამავე არხის ოთხი წამყვანის შეკითხვებს უპასუხა. თუმცა, ინტერვიუში მინისტრისგან ვერც ერთ გახმაურებულ საქმეზე კონკრეტული პასუხები ვერ მოვისმინეთ. კითხვები ისევ პასუხგაუცემელი დარჩა. ერთადერთი საკითხი, რომელზეც მინისტრმა კონკრეტული პასუხები გასცა, კრიმინოგენური ვითარების რეალური სტატისტიკა იყო. რამდენად დამაჯერებელი იყო გიორგი გახარია ინტერვიუს დროს და ვნახეთ თუ არა მომავალი პრემიერი? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.



***– მოვისმინეთ შს მინისტრის ინტერვიუ. ხომ არ დაინახეთ მომავალი პრემიერი გახარია? როდესაც ის ცინიკურია, მის გულწრფელობაზე ჩნდება კითხვები. ასეთი იყო ბოლო კითხვაზე დასმული პასუხისას, როცა ეს ამ თემას ეხებოდა?***

– ამ ინტერვიუს შედეგად ასეთი შთაბეჭდილება არ დამრჩენია. დავიწყოთ იმით, რომ ცვლილებებს მინისტრთა კაბინეტში, განსაკუთრებით პრემიერის დონეზე ამ ეტაპზე არ ველი. არ ველი ბევრი ფაქტორის გამო. მათ შორის იმის გამოც, რომ არჩევნები მოახლოებული არ არის. ცვლილებები ხდება ხოლმე არჩევნების წინ, რომ ახალი სახეების მიმართ მოლოდინი გააჩინონ ხოლმე. პრემიერს ბოლო პერიოდში იმდენად აქტიური პიარი აქვს, რომ ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით – ის, რომ ჯერ არ არის წინასაარჩევნო პერიოდი და, ასე ვთქვათ, თანამდებობის პირების შეწირვის პერიოდი არ დამდგარა, მეორე ფაქტორი კი ის არის, რომ პრემიერის პიარი საკმაოდ ინტენსიურია, რაც ნიშნავს იმას, რომ ის კვლავ მოიაზრება ამ თანამდებობაზე, თუნდაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში. მესამე არანაკლები ფაქტორია ის, რომ შს მინისტრის პოსტზე გახარია ძალიან სჭირდებათ.

„ოცნებისთვის“ უფრო რთული იქნება შს მინისტრის პოსტზე შესაფერისი კადრის შერჩევა, ვიდრე – პრემიერის, რადგან ეს პოსტი საქართველოში ყოველთვის იყო ის ბაზისი, რომელზეც იდგა ხელისუფლება. გახარიასაც რომ ჰქონდეს გაპრემიერების სურვილი და ივანიშვილსაც, სანამ შსს-ს სტაბილურობის უზრუნველმყოფი კადრი არ მოიძებნება, მანამ მის პრემიერობაზე საუბარი არ და ვერ იქნება.

როცა ღარიბაშვილი დააბრუნეს, მაშინაც გაჩნდა ინფორმაციები, რომ თუ გახარიას გადაიყვანენ პრემიერად, მაშინ ღარიბაშვილი გახდება შს მინისტრი, მაგრამ ღარიბაშვილს ივანიშვილისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს – პარტიაში კობახიძისა და კალაძის ალტერნატიული საკადრო ვერტიკალის აგება. ეს ორი საქმე კი ერთდროულად ვერ მოხერხდება.

***– მისი ინტერვიუდან ბევრი კითხვის ნიშანი ისევ დარჩა გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით. პრაქტიკულად ვერც ერთ გახმაურებულ საქმეზე ვერ გაგვცა პასუხი, გარდა კრიმინოგენური ვითარებისა, რომელზეც ახსნა ჰქონდა. თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ამ თემებზე?***

– მე ვერ ვიტყოდი, რომ მოლოდინი იყო, რომ ამ საქმეებზე პასუხები იქნებოდა გაცემული: ინტერვიუ არ დაგეგმილა იმისთვის, რომ რაიმე სიახლეები დაანონსებულიყო. თუმცა, მიუხედავად იმისა, თუ ვისი ინიციატივით შედგა ეს ინტერვიუ – მინისტრის თუ ტელევიზიის – ამ ფორმატზე დათანხმება გახარიასგან გარკვეულ გამბედაობას მოითხოვდა.

***– ხაზარაძის წერილში „ტვ პირველის“ „იმედის“ ტრენდზე გადასვლაზე იყო საუბარი. ამაზე გახარიამ თქვა, ერთად შევამოწმოთ, რამდენად რეალურია ტრენდზე გადასვლაო. ეს სწორი გზავნილი იყო?***

**„ოცნებისთვის“ უფრო რთული იქნება შს მინისტრის პოსტზე შესაფერისი კადრის შერჩევა, ვიდრე – პრემიერის, რადგან ეს პოსტი საქართველოში ყოველთვის იყო ის ბაზისი, რომელზეც იდგა ხელისუფლება. გახარიასაც რომ ჰქონდეს გაპრემიერების სურვილი და ივანიშვილსაც, სანამ შსს-ს სტაბილურობის უზრუნველმყოფი კადრი არ მოიძებნება, მანამ მის პრემიერობაზე საუბარი არ და ვერ იქნება.**

– იმ ფონზე, როდესაც ამ წერილთან დაკავშირებით კითხვები ჰაერში კიდია, მართლაც გამბედაობას მოითხოვდა „ტვ პირველზე“ მისვლა ოთხ ყველაზე გამოცდილ და უკომპრომისო ჟურნალისტთან.

ზოგადადაც, გახარიას გამბედაობას ვერ დავუკარგავთ. დაწყებული მისი ცნობილი „ბოდიშით“, როდესაც ის ერთბაშად იქცა პოპულარულ ფიგურად საზოგადოების ფართო მასებში, გაგრძელებული იმით, რომ მან, ყველა წინამორბედისგან განსხვავებით, საჭიროდ ჩათვალა რეალური სტატისტიკის აღრიცხვა და გამოქვეყნება. ასევე გამბედაობაში და სწორ ხედვაში ჩავუთვლიდი იმას, რაც მას „ქართულ ოცნებაში“ თითქმის ყველასგან გამოარჩევს: ეს არის ის, რომ მას არ ეშინია პროფესიონალების.

როდესაც ის მივიდა შს მინისტრის პოსტზე, პროფესიონალების მიზიდვა დაიწყო, მათ შორის ქალების დანიშვნა წამყვან თანამდებობაზე. სამართალდამცავ სტრუქტურაში ქალების ასეთი მასობრივი დაწინაურებით მანამდე განებივრებულები არ ვიყავით. ეს ფაქტორები იყო, რამაც თავის დროზე მის მიმართ ინტერესი გაზარდა. ასევე ის რეფორმები, რაც შსს-ში ამ ქალების შემოსვლით დაანონსდა და დაიწყო. განსაკუთრებით ეს ეხება ოჯახური ძალადობის პრევენციას. ეს პირდაპირ არის გადაჯაჭვული საზოგადოების რეფორმირების პროცესთან, როცა ვაშენებთ საზოგადოებას, სადაც ქალები და ბავშვები ოჯახური ძალადობისგან უფრო დაცულად გრძნობენ თავს. ამას მოწმობს ისიც, რომ მიმართვიანობა სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ოჯახური ძალადობის თემაზე 100%-ით არის გაზრდილი. ამ ნაბიჯების წყალობით ის მოკლე დროში იქცა „ქართული ოცნების“ „ფალავნად“.

თუმცა, თუ ვინმეს უჭირს ზოგადად სახელის შენარჩუნება, ეს არის შს მინისტრის პოსტი. ამ პოსტიდან სახელიანი წასვლა რთულია. ღარიბაშვილის დროს არ იყო განსაკუთრებით ხმაურიანი საქმეები და ამიტომაც მოასწრო მან პრემიერის პოსტზე გადასვლა. თანამედროვე მსოფლიო ისტორიაშიც ცოტა მაგალითია, როდესაც ძალოვანი მინისტრი უფრო ზემოთ ადის პოლიტიკურ იერარქიაში, ვიდრე ქვემოთ. ბოლო მაგალითი რაც მახსენდება, სარკოზია, რომელიც პრეზიდენტობამდე სწორედ შს მინისტრი იყო. ამ პასუხით ნაწილობრივ თქვენს დასმულ პირველ კითხვასაც ვუბრუნდები.

გახარია შეეძლო, გამოეყენებინა ხელისუფლებას, არა მხოლოდ როგორც სტაბილურობის გარანტი და ის საყრდენი, რომელზეც დგას ხოლმე საქართველოს ხელისუფლებები, არამედ, როგორც სახეც.

ადრე „ქართულ ოცნებას“ მარტივად შეეძლო გასულიყო იოლად, მიუხედავად იმისა, რომ არ მიესალმებოდა ლიდერებს საკუთარ წიაღში, რადგან ყოველთვის ჰქონდა იმის იმედი, რომ სხვები უარესები იყვნენ და ამით გადიოდა ფონს. 6 არჩევნები მოიგო „ოცნებამ“ ასე – სახიერი ლიდერების გარეშე, მხოლოდ ივანიშვილის იმედად. გამონაკლისი მხოლოდ კალაძის არჩევნები იყო.

მაგრამ ახლა მოსამართლეების თემით „ოცნებამ“ აჩვენა, რომ მონდომებით შლის ზღვარს საკუთარ თავსა და ნაციონალური მოძრაობის მიდგომებსა და საკადრო პოლიტიკას შორის. ამიტომაც, ლიდერების გარეშე „ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება 2020 წელს. ლოგიკური იქნებოდა, რომ „ოცნებას“ შეენარჩუნებინა გახარია, როგორც სახე.

***– ანუ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის გახარიას „ოცნების“ ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენად ხედავთ?***

– 2020 წლამდე შს მინისტრის პოსტზე გახარია ძალიან საჭირო იქნება ხელისუფლებისთვის, როგორც სტაბილურობის გარანტი, მაგრამ, რამდენად იზრუნებს „ოცნება“, რომ გახარია შეინარჩუნოს, როგორც სახე, თუ მას საკუთარ შეცდომებზე შეახოცავენ ხელს, მე ამაზე პასუხი არ მაქვს.

დარჩენილი წელიწად-ნახევარი ძალიან რთული იქნება და ძალიან ბევრი დარტყმა სწორედ შსს-კენ წავა. თუ ეს პერიოდი ვინმესთვის იქნება სერიოზული გამოწვევა, ერთ-ერთი პირველი გახარია იქნება. ეს გამოწვევები შეიძლება იყოს ის ბარიერები, რამაც მისი შანსები პრემიერის პოსტზე შეამციროს. დამოკიდებულია იმაზე, რად უღირს „ოცნებას“ გახარია: მხოლოდ სტაბილურობის შენარჩუნებისთვის – შს მინისტრის პოსტზე თუ სახედაც, რომელიც გარკვეული დოზით მიმზიდველი იქნება საზოგადოებისთვის.

***– ალბათ საჭიროა ამისთვის, რომ იმ გახმაურებული საქმეებიდან რამდენიმეზე მაინც მიიღოს პასუხები, თუნდაც იმავე კადრებთან დაკავშირებითაც. წლები გადის და დღემდე არ გვაქვს რეალური პასუხები.***

– ზუსტად. ამ გახმაურებულ საქმეებზე პასუხების გაცემა მარტო შსს-ს პასუხისმგებლობა არ არის, მაგრამ, ამავდროულად, ისიც ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას. ყველა საქმე, რომელზეც ინტერვიუსას იყო საუბარი, მნიშვნელოვანია, მაგრამ, როცა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების სოციალურ ქსელებში მრავალჯერად გაჟონვაზე ვსაუბრობთ, ეს უკვე სერიული დანაშაულია.



**2020 წლამდე შს მინისტრის პოსტზე გახარია ძალიან საჭირო იქნება ხელისუფლებისთვის, როგორც სტაბილურობის გარანტი, მაგრამ, რამდენად იზრუნებს „ოცნება“, რომ გახარია შეინარჩუნოს, როგორც სახე, თუ მას საკუთარ შეცდომებზე შეახოცავენ ხელს, მე ამაზე პასუხი არ მაქვს.**

როცა ერთხელ ვერ იძიებ, ორჯერ ვერ იძიებ, ათჯერ ვერ იძიებ, არავის აღარ სჯერა, რომ ვერ იძიებ, ჩნდება შთაბეჭდილება, რომ არ იძიებ.

***– მით უმეტეს, როცა ანგარიშსწორების ნიშნებს აჩენს.***

– რა თქმა უნდა. როცა სერიულ დანაშაულთან გვაქვს საქმე და ამდენი ხანია, პირადი კადრების გავრცელების არც ერთი ეპიზოდი გამოძიებული არ არის, ჩნდება განცდა, რომ ამის უკან იკვეთება პოლიტიკური ინტერესი. ამიტომაც, წესით, ეს ხელისუფლებისთვის პრინციპული მნიშვნელობის საკითხი უნდა იყოს, ისევე, როგორც ხაზარაძის წერილის თემა.

ლონდონიდან პასუხი ბევრ რამეს შეცვლის: თუ ლონდონიდან გაურკვეველი პასუხი მოვიდა და ვერ მოხდა იდენტიფიცირება, ვის ხელში გამოიარა წერილმა, მაშინ ეს კითხვა ჰაერში გამოკიდებული დარჩება და დროსთან ერთად მისი სიმწვავე განელდება. დადებითი პასუხი კი არა მხოლოდ მის პირად კარიერას, არამედ ხელისუფლებასაც დაემუქრება. მაგრამ მამუკა ხაზარაძემ ბოლო ინტერვიუსას თქვა, რომ გახარიამ საკუთარი მუნდირის ღირსება სასამართლოში უნდა დაიცვასო, ანუ სასამართლოს მეშვეობით დაამტკიცოს, რომ წერილი მან არ გამომიგზავნიაო.

სიმართლე გითხრათ, ამ განცხადებით ამ საქმემ ერთობ უცნაური ელფერი მიიღო: დარჩა შთაბეჭდილება, რომ ლონდონიდან გარკვეული პასუხის იმედი მამუკა ხაზარაძეს ნაკლებად აქვს და ამიტომ გახარიას სასამართლოში სთავაზობს საკუთარი სიმართლის დაცვას. თუმცა, რა, როგორ და რატომ უნდა ამტკიცოს გახარიამ სასამართლოში, თუნდაც ტექნიკურად, გაუგებარია.

## ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი თბილისში ჩამოფრინდა

ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი გუშინ, 24 მარტს, თბილისში ჩამოფრინდა.

ნატო-ს გენერალური მდივანი ვიზიტის ფარგლებში შეხვედრებს გამართავს: საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძესთან და პარლამენტის წევრებთან.

სტოლტენბერგი ასევე ეწვევა ნატო-ს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრს და დაესწრება მის მიერ ორგანიზებულ ნატო-საქართველოს სწავლებას.

სტოლტენბერგის ვიზიტი საქართველოში დღეს, 25 მარტს, დასრულდება.



**ინტერპრესნიუსი**

## „მასწავლებლის გლობალური ჯილდოს“ მფლობელი კენიელი პიტერ ტაბიჩი გახდა

„მასწავლებლის გლობალური ჯილდოს“ მფლობელი კენიელი მასწავლებელი პიტერ ტაბიჩი გახდა.




გუშინ, 24 მარტს, მასწავლებლის გლობალური ჯილდოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, დუბაიში კენიის წარმომადგენელმა, პიტერ ტაბიჩმა მსოფლიოს საუკეთესო მასწავლებლის ტიტული მოიპოვა და ჯილდოს სახით 1 მილიონი ამერიკული დოლარი მიიღო.

ყოველწლიურად Varkey Foundation-ის მიერ მილიონი აშშ დოლარი გადაეცემა მასწავლებელს, რომელმაც ამ პროფესიაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა.

გამარჯვებული „მასწავლებლის გლობალური ჯილდოს“ აკადემიამ აარჩია, რომელშიც მთელი მსოფლიოდან შედიან მასწავლებლები, ჟურნალისტები, საჯარო მოხელეები და სხვადასხვა სფეროს ექსპერტები. 2018 წლის „მასწავლებლის გლობალური ჯილდოს“ მფლობელი დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი გახდა.

შეგახსენეთ, რომ „მასწავლებლის გლობალური ჯილდოს“ 10 ფინალისტს შორის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ლადო აფხაზავაც იყო.

**თაიმერი**

# „ივანიშვილის შემცვლელად ამერიკელები ირაკლი ალასანიას განიხილავენ“

შორენა მარსაგიშვილი

რა მოსთხოვა აშშ-მ ივანიშვილს, გაიზიარებს თუ არა მოსკოვი ვაშინგტონის პოზიციას, რა შეცდომებს უშვებს დასავლეთი საქართველოსთან მიმართებით, ვის შემოსვლას უნდა ველოდოთ ქართულ პოლიტიკაში? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ქართული მარშის ლიდერი სანდრო ბრეგაძე ესაუბრება.

***– სანდრო, თქვენ რამდენიმე თვის წინ „ახალ თაობასთან“ საუბარში თქვით, რომ ერთ-ერთ შეხვედრაზე მამუკა მდინარაძე და ვანო ზარდიაშვილი ტრაბახობდნენ, ჯერ ეკა ბესელიას მოიშორებდნენ თავიდან და შემდეგ ივანიშვილის ჯერიც დადგებოდა. ეკა ბესელია, ფაქტობრივად, მოიშორეს, შეძლებენ „ოცნების“ ლიდერის მოშორებასაც?***

– მოდით, პირდაპირ ვთქვათ ვთქვათ სათქმელი – ივანიშვილმა ისე გაიხადა საქმე, რომ მას საკუთარი გუნდის წევრები აშანტაჟებენ. პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, თანამდებობა „ოცნების“ ლიდერის დაშანტაჟების წყალობით შეინარჩუნა.

სახელისუფლებო პარტიაში მისი გადაყენების საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. მას გაზაფხულის ბოლოს უნდა დაეტოვებინა პარლამენტის სპიკერის პოსტი. თანამდებობის შესანარჩუნებლად ის მივიდა პარტიის ლიდერთან და პირდაპირ დააშანტაჟა. შანტაჟმა გაჭრა – კობახიძემ თანამდებობა შეინარჩუნა.

***– ირაკლი კობახიძეს ივანიშვილი როგორ ან რით უნდა დაეშანტაჟებინა?***

– არ დაგვავიწყდეს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე განკარგავდა საარჩევნო თანხებს. პირველად მას ეს საქმე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ჩააბარეს, მას შემდეგ ის არის ამ თანხების გამანაწილებელი.

**„ქართულ ოცნებასა“ და მის ლიდერს ვანო ზარდიაშვილიც აშანტაჟებს. პარტია და ივანიშვილი იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმაც დააშანტაჟა. ცოტა ხნის წინ მისი გადაყენების საკითხი დადგა დღის წესრიგში. მაშინ იუსტიციის მინისტრმა თქვა, რომ თუ ყველაფერი ისე არ იქნებოდა, როგორც მას სურს, ის სხვა ნაბიჯებს გადადგამდა. ამ ადამიანმა ძალიან ბევრი რამე იცის და ამის წყალობით დარჩა პოსტზე.**

მან ივანიშვილს უთხრა, რომ თუ მისი გადაყენების საკითხი დღის წესრიგიდან არ მოიხსნებოდა, ის იტყოდა, თუ როგორ იხარჯებოდა არჩევნების წინ ფული. საუბარია ფულის არალეგალურ გამოყენებაზე, თორემ არჩევნებისთვის ყველა პარტია ხარჯავს ფულს და ეს დანაშაულად არ ითვლება.

„ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერს ვანო ზარდიაშვილიც აშანტაჟებს. პარტია და ივანიშვილი იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმაც დააშანტაჟა. ცოტა ხნის წინ მისი გადაყენების საკითხი დადგა დღის წესრიგში. მაშინ იუსტიციის მინისტრმა თქვა, რომ თუ ყველაფერი ისე არ იქნებოდა, როგორც მას სურს, ის სხვა ნაბიჯებს გადადგამდა. ამ ადამიანმა ძალიან ბევრი რამე იცის და ამის წყალობით დარჩა პოსტზე.

სახელისუფლებო პარტიაში კომპრომატების ომია დაწყებული და კობახიძე-ზარდიაშვილის დაჯგუფება ამით ინარჩუნებს ძალაუფლებას. პარლამენტს თავიდან ბოლომდე ეს კლანი აკონტროლებს.

***– ამბობთ, კობახიძემ, წულუკიანმა და ზარდიაშვილმა ივანიშვილი დააშანტაჟესო,. „ოცნების“ ლიდერს მათი საწინააღმდეგო არაფერი აქვს, რომ კომპრომატი კომპრომატის წილ ააფრიალოს, თუ ისეთი უმწიკვლოები არიან, რომ მათი სახელი არ შეიბღალება?***

– უმწიკვლოები როგორ არიან? ვანო ზარდიაშვილი თავად არის მოსიარულე კომპრომატი. ადამიანი ადეიშვილის მარჯვენა ხელი იყო და ამაზე დიდი კომპრომატი რაღად გინდათ.

ივანიშვილს ამათზე როგორ არ ექნება კომპრომატები, მაგრამ მათი გამოყენება ეფექტური არ იქნება.

***– რატომ არ იქნება ეფექტური?***

– ამათ შესახებ საზოგადოებამ ისედაც



ყველაფერი იცის. მათ იმაზე მეტად მაინც ვერ გასვრი, ვიდრე თავად არიან გასვრილები. ამიტომაც ნაკლებად ეშინიათ კომპრომატების.

თანაპარტიელები ერთმანეთს შანტაჟის ენით რომ ესაუბრებიან, ეს მიუთითებს ერთ რამეზე – „ქართულმა ოცნებამ“ ლპობის უმაღლეს სტადიას მიაღწია. ლპობის უმაღლესი სტადიის შემდეგ უკვე გარდაცვალება დგება.

ამ პარტიის არაერთ გავლენიან პირთან მქონდა ბოლო დროს შეხვედრები. ჩვენი საუბარი არაოფიციალურ გარემოში შედგა. მათი საუბრებიდან კარგად ჩანს, რომ ისინი უკვე შეეგუვნენ ხელისუფლებიდან წასვლის ფაქტს.

ახლა მათ მხოლოდ ის აინტერესებთ, როდის ან როგორ მოხდება ხელისუფლებიდან მათი ჩამოშორება. იმაზეც საუბრობენ, შეძლებენ კოალიციურ მთავრობაში მოხვედრას თუ ისევე გაქრებიან, როგორც მოქალაქეთა კავშირი გაქრა.

ხშირად მოგვისმენია განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ „ოცნება“ ხელისუფლებაში 2030 წლამდე დარჩება. ახლა ამაზე ტვინგადაბრუნებული ქოცებიც კი აღარ საუბრობენ. ყველა ხვდება, რომ „ქართული ოცნება“ დამთავრდა.

***– დიდი წივილ-კივილი მოჰყვა სოციალური ქსელით გავრცელებულ თქვენს განცხადებას, სადაც ამტკიცებთ, რომ ამერიკელებმა ივანიშვილს მოსთხოვეს ხელისუფლება ბოკერიას ფრთას – „ევროპულ საქართველოს“ გადააბაროსო. რამდენად არის ეს ყველაფერი რეალობასთან ახლოს?***

– ეს ყველაფერი ძალიან სერიოზულია. დაახლოებით ორი კვირის წინ ივანიშვილს შეხვდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი კურტ ვოლკერი.

მისი პირით ვაშინგტონმა „ოცნების“ ლიდერს პირდაპირ მიანიშნა, რომ მან უნდა დატოვოს ხელისუფლება. საქართველოში ორი ვადის იქეთ ვერავინ დარჩება ხელისუფლებაში. „ოცნება“ ამ მეორე ვადას ძალიან მალე დაასრულებს და ის უნდა წავიდეს ხელისუფლებიდან.

პარტიის ლიდერს პირდაპირ უთხრეს, რომ მან „ევროპულ საქართველოს“ ხელისუფლება ხავერდოვნად უნდა გადააბაროს. პრემიერის პოსტზე უკვე განიხილება გიგი წერეთლის კანდიდატურა, პარლამენტის თავმჯდომარედ კი დავით ბაქრაძე სახელდება.

***– რომელი დავით ბაქრაძე, „ევროპელი დემოკრატების“ თუ აშშ-ში საქართველოს ელჩი?***

– ბოკერიას დავით ბაქრაძე განიხილება პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე. ისიც და გიგი წერეთელიც ხალხს ნაკლებად აღიზიანებენ. ბოკერიას წინა პლანზე არავინ წამოსწევს, მაგრამ ქვეყნის არაფორმალური მმართველი, ფაქტობრივად, ის იქნება.

იმ შემთხვევაში, თუ „ოცნება“ და მისი ლიდერი ხავერდოვან გადაბარებაზე უარს იტყვიან, მაშინ რევოლუციური სცენარით განვითარდება მოვლენები. ასეთ შემთხვევაში აშშ ივანიშვილს უსაფრთხოების გარანტიებს აღარ აძლევს.

ხელისუფლებას ამერიკელებისთვის შეთავაზებაზე ჯერ პასუხი არ გაუცია. მართალი გითხრათ, არ ვიცი, რას იტყვიან. სამაგიეროდ, ვიცი ერთი რამე – ამერიკელების გეგმის განხორციელებას ხელს შეუშლის რუსეთი.

***– შეძლებს რუსეთი ამერიკელებისთვის ხელის შეშლას?***

– ვერ გეტყვით. რუსეთსაც და ამერიკასაც ქართულ პოლიტიკურ სპექტრზე დიდი გავლენები აქვს.

## „ირაკლი კობახიძემ თანამდებობა კომპრომატებით შეინარჩუნა“

***– ამბობთ, რომ ამერიკელებს უნდათ, რომ ხელისუფლება ბოკერიას გუნდს გადააბარონ. მოსახლეობას „ოცნება“ აღარ მოსწონს, მაგრამ „ევროპული საქართველო“ დასანახადაც არ უნდა. გამოდის, რომ ქართველ ამომრჩეველს არავინ არაფერს ეკითხება?***

– 2003 წელს, ვარდების რევოლუციის წინაც დაახლოებით ანალოგიური პროცესები მიდიოდა ქვეყანაში. ჯეიმს ბეიკერი საგანგებოდ ჩამოვიდა თავის მეგობარ შევარდნაძესთან და სქემა დაუდო, სქემა იმისა, თუ როგორ უნდა წასულიყო მოქალაქეთა კავშირი ხელისუფლებიდან.

მაშინ ამერიკელები ითხოვდნენ, რომ შევარდნაძეს ძალაუფლება ზურაბ ჟვანიას გუნდისთვის გადაებარებინა. ეს გუნდი საკმაოდ ზომიერი პოლიტიკოსებით იყო დაკომპლექტებული.

სხვათა შორის, იგივე წინადადება მიუვიდა ასლან აბაშიძესაც. მასაც და შევარდნაძესაც პასუხის გასაცემად გარკვეული დრო მისცეს. ამერიკელებმა მაშინდელ ხელისუფლებას ღიად უთხრეს, რომ თუ ჟვანიას გუნდს ძალაუფლებას არ გადააბარებდნენ, მაშინ ხელისუფლებაში ბევრად უფრო რადიკალური სააკაშვილი მოვიდოდა. მისი მოსვლის შემთხვევაში შევარდნაძის გუნდს უსაფრთხოების გარანტიებს არავინ აძლევდა.

ჟვანიას თუ გადააბარებდნენ ხელისუფლებას, უსაფრთხოების გარანტიები იქნებოდა. ასლან აბაშიძე თანამდებობის შენარჩუნებასაც შეძლებდა.

აჭარის მეთაურმა შეთავაზებაზე კატეგორიული უარი განაცხადა, შევარდნაძემ კი ორაზროვანი პოზიცია დაიკავა – მას ამერიკელებისთვის კონკრეტული პასუხი არ გაუცია.

ეს ყველაფერი ვარდების რევოლუციით დასრულდა. ხელისუფლებაში ჟვანიას ზომიერი გუნდის ნაცვლად გავეშებული სააკაშვილის გუნდი მოვიდა. ამ გუნდმა თითქმის ყველა დაიჭირა. ახლაც ზუსტად იგივე ვითარებაა, თითქოს კალკით გადაიღესო.

მაშინ რუსეთი ისეთი ძლიერი არ იყო, როგორიც ახლა არის, პუტინი ხელისუფლებაში ახალი მოსული იყო და ამერიკელების ნებას წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. მაშინ დღევანდელი რუსეთი რომ ყოფილიყო, ვარდების რევოლუცია არ მოხდებოდა.

ვარდების რევოლუცია იმის შესახსენებლად გავიხსენე, რომ 2003 წელს არც ჟვანიას ჰქონდა მაღალი რეიტინგი. ურეიტინგო იყო სააკაშვილიც. ჩვენ ერთად მოგვიწია პარლამენტში ყოფნა და კარგად ვიცი, რასაც ფიქრობდნენ დეპუტატები მასზე.

მაშინ ვინმესთვის რომ გეთქვა, ოდესმე სააკაშვილი იქნება საქართველოს პრეზიდენტიო, გიჟად ჩაგთვლიდნენ, იმდენად ოდიოზური და სასაცილო ფიგურა იყო, მაგრამ ის გახდა საქართველოს პრეზიდენტი. ასე რომ, დიდ ყურადღებას ნუ მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ ხალხს ბოკერია და მისი გუნდი ეზიზღება.

ბოკერია ადრეც ეზიზღებოდა ხალხს, მაგრამ მან ერთხელ უკვე შეძლო ხელისუფლებაში მოსვლა. სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნისას, ის ქვეყანაში მეორე კაცი იყო და ბევრ რამეს ის წყვეტდა.

**ლევან ვასაძე უკვე დიდი ხანია, რაც ქართულ პოლიტიკაშია. შეიძლება, ეს ღიად არ ჩანს, მაგრამ ის უკვე მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში. რაც შეეხება პოლიტიკაში მის ღიად შემოსვლას, ეს მე გარდაუვალ ამბად მიმაჩნია.**

სააკაშვილს ხელისუფლებაში მოსვლის შანსი კიდევ ერთხელ მიეცა. თუ ივანიშვილი ამერიკელების შეთავაზებას არ მიიღებს, ყოფილ პრეზიდენტს რევანშის აღებაში ხელს არ შეუშლიან.

ამ უკანასკნელს რევანშის აღება რამდენიმე შემთხვევაში შეუძლია. მაისში ზუგდიდში მერის ვადამდელი არჩევნები ტარდება. სწორედ მაშინ შეუძლია სააკაშვილის რევოლუციური სცენარის განხორციელება.

***– რატომ გგონიათ, რომ რევოლუციური სცენარი ზუგდიდიდან დაიწყება, რადგან ვარდების რევოლუციაც სამეგრელოდან დაიწყო?***

– არა. ზუგდიდში „ოცნებას“ მერის არჩევნების მოგების შანსი არ აქვს. ერთადერთი, რითიც მას წარმატების მიღწევა შეუძლია, არის მოსყიდვა, ძალადობა და გაყალბება.

მმართველმა პარტიამ თუ ამ მეთოდებს მიმართა, მაშინ საქართველოში რევოლუცია შეიძლება მაისში დაიწყოს. ივანიშვილი ამერიკელებს თუ არ დათანხმდება, შემოდგომაზე რევოლუცია უეჭველი მოხდება.



## სანდრო ბრეგაძე: „მაისში შეიძლება რევოლუცია დაიწყოს“

მგონი, რევოლუცია ისედაც გარდაუვალი ხდება – მმართველ ფენას აღარ შეუძლია მართვა, ხოლო ჩაგრულ ფენას აღარ სურს ძველებურად ცხოვრება.

„ქართულ ოცნებას“ ნაციონალების ბუად წარმოჩენა ველარ გადაარჩენს. ამ მეთოდმა რამდენჯერმე უკვე გაჭრა. მართალია, ხალხს ნაციონალები სძულს, მაგრამ მათი ზიზღით, „ოცნებას“ გვერდით აღარ დაუდგება. ივანიშვილი ზარდიაშვილის, კობახიძისა და ამდაგვარი ოდიოზური ფიგურების ამარა დარჩება. ისინიც პირველები გადახტებიან მშობლიურ ნავში. მხედველობაში ზურაბ ადეიშვილის ნავი მაქვს.

***– ამტკიცებთ, რომ აშშ ითხოვს „ევროპული საქართველოსთვის“ ხელისუფლების გადაბარებას. ამ ლოგიკით, ამ პარტიისა და თავისუფალი დემოკრატების გაერთიანებაც ვაშინგტონის მითითებით უნდა მომხდარიყო.***

– არა მგონია, რომ ეს გაერთიანება აშშ-სთან იყოს კავშირში. სამაგიეროდ, დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს ხანებში აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნდება თავისუფალი დემოკრატების ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი ალასანია.

აშშ-ის გარკვეულ წრეებში ალასანიას პოლიტიკაში დაბრუნება უკვე გადაწყვეტილი ამბავია. ვაშინგტონი ამ ადამიანს ივანიშვილის ერთ-ერთ სერიოზულ ალტერნატივად განიხილავს.

***– არის იმის ალბათობა, რომ ბოკერია და ალასანია ერთ მხარეს აღმოჩნდნენ?***

– პოლიტიკაში გამორიცხული არაფერი არ არის, მაგრამ, არ მინდა, რომ ირაკლი ალასანიამ ეს შეცდომა დაუშვას. მე რატომღაც მგონია, რომ ის უფრო სოლიდურად გამოვა პოლიტიკურ ასპარეზზე, ვიდრე აქამდე იყო.

***– პოლიტიკაში დაბრუნებას აანონსებს ირაკლი ოქრუაშვილიც. შემთხვევით მასთან ხომ არ გაერთიანდება ალასანია?***

– ოქრუაშვილთან გამორიცხულია. ამ ეტაპზე ოქრუაშვილის პოლიტიკაში შემოსვლა მისთვის არ იქნება კარგი. ახლა მას დასაბრუნებლად არც რესურსი აქვს და არც – სათანადო მხარდაჭერა. მომავალში შეიძლება თავისი სათქმელი მკაფიოდ თქვას, მაგრამ ახლა მისი დაბრუნება ნაჩქარევი გადაწყვეტილება იქნება.

***– აქტიურად საუბრობენ იმაზეც, რომ პოლიტიკაში შემოდის ლევან ვასაძე. ამაზე რას ფიქრობთ?***

– ლევან ვასაძე უკვე დიდი ხანია, რაც ქართულ პოლიტიკაშია. შეიძლება, ეს ღიად არ ჩანს, მაგრამ ის უკვე მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში. რაც შეეხება პოლიტიკაში მის ღიად შემოსვლას, ეს მე გარდაუვალ ამბად მიმაჩნია.

***– ამბობენ, რომ ის პრორუსულად განწყობილ პარტიებს ჩაუდგება სათავეში.***

– ვერ გეტყვით. მე ვასაძეს პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსად არ ვთვლი, მაგრამ ის არც ამერიკელების ინტერესების გამტარებელია.

ამერიკელები ვისაც უჭერენ მხარს, უკვე გითხარით. ვაშინგტონმა ასეთი არჩევანის გაკეთებით დიდი შეცდომა დაუშვა.

***– რატომ დაუშვა შეცდომა?***

– იმიტომ, რომ ისინი იმ ძალას უჭერენ მხარს, რომელიც ქართველ ხალხს სძულს. ამერიკელები ლიბერასტებთან და მართლმადიდებლობის მტრებთან ამყარებენ კავშირებს. აქედან გამომდინარე, ხალხი ფიქრობს, რომ ამერიკა ლიბერასტებისა და ქართული ეკლესიის მტრების მფარველია.

ამით დასავლური ღირებულებების მიმართ პატივისცემა იკარგება.

# ნაზი ჯანეზაშვილი: „ნინო გვენეტაძე ამბობდა, შეიძლება, ხელითაც შემეხნენო“

ნათია ხურცილავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უზენაესი სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე ნინო გვენეტაძესა და იმ კანონპროექტზე საუბრობს, რომლითაც უნდა მოხდეს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევა.

***— ქალბატონო ნაზი, ნინო გვენეტაძის თანაშემწის განცხადებით უნდა დაინტერესდნენ შესაბამისი უწყებები? წიქარიშვილმა თქვა, რომ კლანის მიერ გვენეტაძე ფიზიკური ძალადობის მსხვერპლიც შეიძლებოდა გამხდარიყო.***

— ჯერ კიდევ 2017 წლის ნოემბერში ვთქვი, რომ ნინო გვენეტაძე საბჭოს წევრების მიერ ბულინგის მსხვერპლი იყო. გვენეტაძის არჩევანი იყო, ღიად ელაპარაკა საბჭოში არსებულ სიტუაციაზე, ან არ ელაპარაკა. სამწუხაროდ, მისი გადაწყვეტილება იყო, რომ ღიად არ ესაუბრა. ვფიქრობ, ეს ცუდი არჩევანი იყო მისი მხრიდან. თუმცა, ალბათ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა.

რაც შეეხება ფიზიკურ საფრთხეს, რამდენად დიდი იყო საფრთხე მასთან მიმართებით, ამის თქმა არ შემიძლია. ვერ გეტყვით, ამ განცხადების ავტორი საბჭოს სხდომებიდან გამომდინარე საუბრობს თუ მას მეტი ინფორმაცია აქვს. გვენეტაძე საუბრებში ხშირად ამბობდა, ისეთი დაპირისპირებაა, შეიძლება, ხელითაც შემეხნენო.

***— მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც 10 წლის ვადით არის არჩეული, 2 წელიწად-ნახევარში გადადგება. ამით ქვეყანაში ვინმე ხომ უნდა დაინტერესდეს?***

— რა თქმა უნდა, უნდა დაინტერესდეს. როდესაც გვენეტაძე გადადგა, თითქოს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ეს ჩემთვის არ იყო დამაჯერებელი. წარმოუდგენელიც კი იყო, რადგან სხვადასხვა




**ჯერ კიდევ 2017 წლის ნოემბერში ვთქვი, რომ ნინო გვენეტაძე საბჭოს წევრების მიერ ბულინგის მსხვერპლი იყო. გვენეტაძის არჩევანი იყო, ღიად ელაპარაკა საბჭოში არსებულ სიტუაციაზე ან არ ელაპარაკა. სამწუხაროდ, მისი გადაწყვეტილება იყო, რომ ღიად არ ესაუბრა. ვფიქრობ, ეს ცუდი არჩევანი იყო მისი მხრიდან. თუმცა, ალბათ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა.**

გეგმაზე ვსაუბრობდით და არსად აპირებდა წასვლას. როგორც ვიცი, ზოგადი მიზეზი არის კლანის გამარჯვება. უფრო კონკრეტული მიზეზი სულ სხვა არის. რა კონტექსტში გაიმარჯვა კლანმა და რა საკითხთან დაკავშირებით, ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ.

***— ეს უკავშირდება ტესტების სკანდალს?***

— დიახ, გარკვეულწილად ამას, ეს შემიძლია გითხრათ, მეტი არაფერი. თავს შევიკავებ დეტალებისგან, რადგან მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც ამაზე უნდა ისაუბროს. ამაზე შესაბამისმა უწყებებმა თუ პირებმა უნდა ისაუბრონ, რომელთაც ხელი მიუწვდებოდათ და ევალებათ.

მე ერთი შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის კლანის გამარჯვება და გვენეტაძის დამარცხება. იბრძოდა თუ არა ბოლომდე, რატომ დამარცხდა? რა იყო მიზეზი? ეს თემა მრავალწახნაგოვანია. ნინო გვენეტაძემაც დაუშვა შეცდომა. მისი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ ის კლანთან ხან გარიგებაში იყო, ხან თანამშრომლობდა, ხან დაპირისპირებაში იყო. თანმიმდევრული უნდა იყო, თუ გინდა, რომ გაიმარჯვო.

***— ბოლო დროს ძალიან უჭირდა პრესასთან კონტაქტიც...***

— მე პირადად არაერთგზის ვურჩიე, ღიად ესაუბრა, თუმცა მისი არჩევანი იყო, რომ ამას აზრი არ ჰქონდა.

***— კობახიძის კანონპროექტზე უნდა გკითხოთ. წინასწარი განწყობაა, რომ სწორედ ეს კანონპროექტი გადის. თუ ეს კანონპროექტი იქნება მიღებული, რა სურათს ვიღებთ?***

— ამ კანონპროექტის გასვლის შემთხვევაში, შინაარსობრივად და შედეგობრივად არაფერი არ იცვლება. რეალურად არაფერი არ შეიცვლება, პროცესი შელამაზდება. არსებულ ვითარებას ვერ შეცვლის ეს კანონპროექტი, რადგან ის ტოვებს იმ შესაძლებლობას, რომ ეს ხალხი სისტემაში მოხვდეს. ამიტომ, ახლა ჩვენი მთავარი პრობლემაა, რომ გავლენიანი ჯგუფის წევრები არ მოხვდნენ უზენაეს სასამართლოში. არადა, ეს კანონპროექტი



სწორედ ამას უნდა აზღვევდეს, რადგან ეს არის პრობლემა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ აზღვევს.

***— როგორ ფიქრობთ რატომ ჩქარობენ? ფორსირებულად რატომ ხდება განხილვები თუ ისედაც გადის? ვენეციის კომისიას მიმართეს, თუმცა მის ჩამოსვლამდე შეიძლება კანონი მიიღონ.***

— ორი მიზეზი შეიძლება იყოს: ერთი, ობიექტური მიზეზი — უზენაეს სასამართლოში რეალურად მოსამართლეების რაოდენობა ცოტაა, მართლმსაჯულების განხორციელებას პრობლემა ნამდვილად ექმნება.

მეორე მიზეზი: ცდილობენ, ეს ძალიან ხმაურიანი ამბავი დროულად დაასრულონ. მე ვფიქრობ, მაინც ეს არის მთავარი მიზეზი.

მიუხედავად ამისა, თუ პარლამენტი პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს, როგორც ანრი ოხანაშვილი კომიტეტის სხდომაზე დაგვპირდა, რომ უხეში მანიპულაციების შედეგად შერჩეულ კანდიდატებს მხარს არ დაუჭერს, მაშინ ეს იქნება ძალიან სერიოზული განაცხადი, მაგრამ ამის მოლოდინი ამ ეტაპისთვის არ მაქვს. ვნახოთ, იუსტიციის საბჭო რა გადაწყვეტილებას მიიღებს იმ კანდიდატებთან დაკავშირებით, რომლებიც მას ჰყავს შესარჩევი.

***— უმრავლესობის ის დეპუტატები, რომლებსაც ამ საკითხზე ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ აქვთ მიღებული, აცხადებენ, რომ ყველაფერი ინდივიდუალურ კენჭისყრაზე გადაწყდება და ეს იქნება ლუსტრირება. შეიძლება, მართლაც არ გავიდეს ჩინჩალაძე-მურუსიძის მიერ დაწერილი სია?***

— მე ვერიდები პოლიტიკურ შეფასებებს, რადგან საბჭოს წევრი ვარ, მაგრამ მიწევს. სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლებს, დეპუტატებს აქვთ ახლა გადაწყვეტილება მისაღები. მათ არჩევანი უნდა გააკეთონ: ან მხარი უნდა დაუჭირონ ჩინჩალაძე-მურუსიძესა და მათ კლანს ან ხალხს, მათ ამომრჩეველს.

პოლიტიკოსებისთვის მეორე არჩევანი უნდა იყოს ის არჩევანი, რომელიც უნდა გააკეთონ, რადგან ამ არჩევანით ხალხთან რჩებიან. თუმცა, პოლიტიკური ხელისუფლება რა არჩევანს გააკეთებს, ეს მისი გადასაწყვეტია. ვნახოთ, რა მოხდება, ძალიან ბევრი პროცესი არის გასათვალისწინებელი, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის ჩინჩალაძესა და მის კლანს.

***— თუ მართლაც ჩავარდება ეს სია პარლამენტში, ეს ნიშნავს კლანის შერყევას?***

— კლანის წინააღმდეგ პირველი ნაბიჯი იყო ის, რომ პარლამენტმა არ მიიღო ეს სია. ბუნებრივია, ეს კლანს ასუსტებს. ის ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა თანამდებობებზე არიან სასამართლოში, ამაზე ხომ დაფიქრდებიან. ეს მიმდინარე პროცესები ნამდვილად კარგია, რომ კლანი შესუსტდეს და შეირყეს. გარე და შიდა პროცესებმა, რასაც მე და ქალბატონი ანა დოლიძე ვაწარმოებთ, გარკვეული გავლენა მოახდინა.

სისტემაში ბევრი ღირსეული ადამიანია, მე ვსაუბრობ იმ მოსამართლეებზე, რომლებიც კლანს წარმოადგენენ. ისინი საშიშები არიან. საშიშები არიან პირველ რიგში თავად ხელისუფლებისთვის. ეს ადამიანები მოქმედებენ იმის მიხედვით, თუ ვის აქვს დღეს ძალაუფლება. ამიტომ, კანონებში უნდა შევიდეს ისეთი ცვლილებები, რომლებიც ინდივიდუალურ მოსამართლეს გააძლიერებს და არა — კლანს.

## დავით ზალკალიანი: „საქართველო ნატოსთვის პრიორიტეტულია“

— ასეთი დატვირთვით ნატო-ს დღის წესრიგში ყოფნა მიანიშნებს, რამდენად პრიორიტეტულია საქართველო ნატო-ს პოლიტიკურ დღის წესრიგში.

ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჟურნალისტებს განუცხადა.

საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ნატო-საქართველოს ურთიერთობებსა და საქართველოში იენს სტოლტენბერგის ვიზიტზე ისაუბრა.

— დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ვიზიტს იქიდან გამომდინარე, რომ ვიზიტი იმართება ნატო-ს საიუბილეო მინისტერიალის წინ და მთლიანად ერთი კვირა არის უაღრესად ინტენსიური ნატო-სთან ურთიერთობის კონტექსტში. ნატო-ს გენმდივნის ვიზიტი ასევე ემთხვევა ნატო-ს სწავლებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე კვირაში ჩვენ გვაქვს ნატო-ს სამხედრო კომიტეტის სხდომა. საქართველოს ეწვევა ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედრო გენერალიტეტის წარმომადგენლობა.

ამავე კვირაში მე მექნება ბრიუსელში, ნატო-საქართველოს საბჭოს ფარგლებში ცალკე შეხვედრა, რომელიც მიეძღვნება შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებს. ერთი კვირის განმავლობაში ასეთი დატვირთვით ნატო-ს დღის წესრიგში ყოფნა მიანიშნებს, რომ რაოდენ პრიორიტეტულია საქართველო ნატო-ს პოლიტიკურ დღის წესრიგში, — განაცხადა ზალკალიანმა.

**ინტერპრესნიუსი**

## მამუკა ბახტაძემ და ნიკოლ ფაშინიანმა არაფორმალური შეხვედრა გამართეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და სომხეთის მთავრობის ხელმძღვანელმა ნიკოლ ფაშინიანმა სომხეთში, სოფელ ენოქავანში არაფორმალური შეხვედრა გამართეს. ამის შესახებ ინფორმაციას სომხეთის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს.

მხარეებმა ქართულ-სომხურ ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. მამუკა ბახტაძემ და ნიკოლ ფაშინიანმა ხაზი გაუსვეს ყველა სფეროში ქართულ-სომხური ურთიერთობის მნიშვნელობას და გამოთქვეს იმედი, რომ ორმხრივი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ურთიერთობების განვითარებას რიგ სფეროებში.




ამ კონტექსტში მხარეებმა ხაზი გაუსვეს ხშირი ორმხრივი შეხვედრების მნიშვნელობას როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ დონეზე.

**ინტერპრესნიუსი**

## გიგი უგულავა: „ქართულმა ოცნებამ“ მარნეული ჩიხში შეიყვანა“

— „ქართულმა ოცნებამ“ ჩიხში შეიყვანა მარნეული და ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით, დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებთ ამ სიტუაციის შემოტრიალებას, — ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ განაცხადა.

— ჩვენმა ბლოკმა „ევროპული საქართველო“, „თავისუფალმა დემოკრატებმა“ წარვადგინეთ ახმედ იმამყულიევის კანდიდატურა. მარნეული უმნიშვნელოვანესი რაიონია, თქვენ იცით მას 2014 წელს მოგებული აქვს არჩევნები და გაუყალბეს და წაართვეს არჩევნები, 2017 წელს არჩეულმა კანდიდატმა რაც ჩაიდინა მთელმა საქართველომ იცის. „ქართული ოცნების“ ადგილი მმართველობაში არ არის. „ქართულმა ოცნებამ“ ჩიხში შეიყვანა მარნეული და ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით დარწმუნებული ვარ რომ შევძლებთ ამ სიტუაციის შემოტრიალებას, —



განაცხადა გიგი უგულავამ.

„ევროპულმა საქართველომ“ მარნეულის მერობის შუალედურ არჩევნებში კანდიდატად ახმედ იმამყულიევი გუშინ, 24 მარტს დაასახელა.

**ინტერპრესნიუსი**

## ეროვნულ ბანკში განთავსებულ საპენსიო დანაზოგებს დღემდე 84 ათასი ლარის სარგებელი დაერიცხა

საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშებზე განთავსებულ საპენსიო დანაზოგებს დღემდე 84.075 ლარის სარგებელი დაერიცხა. ინფორმაცია ბანკის ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი.

20 მარტის მდგომარეობით, საპენსიო სააგენტოს მიერ ეროვნულ ბანკში გახსნილ ანგარიშებზე 40.291.907 ლარია. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთს, ის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ოდენობის შესაბამისია და ამ დროისთვის 6.75 პროცენტს შეადგენს. თანხების შესაბამისად, მატულობს მათზე დასარიცხი სარგებელი და ამ დროისთვის ყოველდღე 7.189 ლარს შეადგენს.

მთლიანობაში საპენსიო დანაზოგების მოცულობამ 100 მილიონ ლარს გადააჭარბა. თანხების ნაწილი კომერციული ბანკების ანგარიშებზეა განთავსებული.

საპენსიო ფონდის თანხების მართვა სააგენტოს საინვესტიციო საბჭოს დაკომპლექტების მერე დაიწყება.

საპენსიო სააგენტო

1tv.ge

# შეუშვებენ თუ არა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საერთაშორისო დამკვირვებლებს?

მარიამ მჭედლიშვილი

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო თავის რეზოლუციაში, რომელიც ამ დღეებში მიიღეს, მოითხოვს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში საერთაშორისო დამკვირვებლების შეშვებას და შეშფოთებას გამოთქვამს იქ შექმნილი რთული ვითარების გამო.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოდან შარშანაც გაისმა მოწოდება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისის შეშვების თაობაზე. ოკუპირებულმა რეჟიმებმა და მათმა მმართველებმა რუსეთში მოწოდება არ შეისმინეს. ამან გამოიწვია სიტუაციის გაუარესება, შემდგომი ბორდერიზაცია და ქართველებზე პერიოდული ნადირობა. საოკუპაციო რეჟიმებისა და ოკუპანტების მიერ დახოცილი ქართველების რაოდენობამ იმატა.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ უმძიმეს მდგომარეობაზე საბჭოს რეზოლუციის მიღებამდე ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა დარსალიამ.



მისი თქმით, ოკუპირებულ რეგიონებში მძიმე ჰუმანიტარული ვითარებაა. შეინიშნება საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფისა და უკანონოდ დაკავების ტენდენცია.

საქართველოს წარმომადგენელსა და საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადეს ავსტრალიის, დანიის, ჩეხეთისა და გაერთიანებული სამეფოს დელეგაციების წევრებმა. ამის შედეგად გაეროს ამ სტრუქტურამ მიიღო რეზოლუცია.

რეზოლუცია მხარს უჭერს საქართველოს მთლიანობას აღიარებულ საზღვრებში და შემაშფოთებელს უწოდებს ამ კონფლიქტურ რეგიონებში ქართველთა სიცოცხლის უფლების დარღვევის, დისკრიმინაციის, თავისუფლების აღკვეთის, უკანონო დაკავებების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეუძლებლობის, გამოდევნილი პირების სახლების მიზანმიმართულად ნგრევის ფაქტებს.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო მნიშვნელოვანს უწოდებს კონფლიქტების საკითხებზე მიმდინარე ჟენევის მოლაპარაკებებს, რომლებიც ბოლო დროს კრიტიკის საგნად გადაიქცა.

საბჭოს მიაჩნია, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისსა და მონიტორინგის სხვა მექანიზმებს უნდა მიეცეთ ამ კონფლიქტურ რეგიონებში შესვლის საშუალება.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს დაევალა, საბჭოს მომავალ სესიებზე წარმოუდგინოს ანგარიშები იქ შექმნილ მდგომარეობაზე.

გაეროს ამ საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციას დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს კონფლიქტებს მსოფლიოში ჯერ სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ.

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა რამდენიმე დღის წინ წამოაყენა ინიციატივა, რომლითაც ჟენევისა და აბაშიძე-კარასინის ფორმატებს სხვაც უნდა დაემატოს. ამან ოპონენტების კრიტიკა გამოიწვია.

ოპოზიციას მიაჩნია, რომ ახალი მოლაპარაკებები საჭირო არ არის, ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი მისაღებია, მათი არაეფექტურობა კი გამოწვეულია რუსეთის არაკონსტრუქციულობით.

როგორც ჩანს, ჟენევის მოლაპარაკებები დარჩება ამ კონფლიქტების სხვადასხვა ასპექტით განხილვის მთავარ მოედნად, გაერო კი ამ მხრივ გააქტიურდება. ევროპელი ლიდერებისაგან ამ მიმართულებით გარღვევის ნიშნები არ ჩანს.

ევროპაში კვლავინდებურად ყველაზე დიდ დროს უთმობენ უკრაინის პრობლემების გადაწყვეტას. ევროპელი ექსპერტების დასკვნით, რუსეთის მიერ ყირიმის მიერთებიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ ეს პრობლემა უფრო გამწვავდა. ყირიმის ანექსია იყო ევროპის საზღვრების ყველაზე არსებითი და საშიში შეცვლა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. კრემლის ამ თავნებობას უკვალოდ არ ჩაუვლია – რუსეთი გარიცხეს დიდი შვიდეულიდან და მას დაადეს ეკონომიკური სანქციები, პუტინის საერთაშორისო ავტორიტეტი კი საგრძნობლად დაეცა.

# მაია ცქიტიშვილი: „არ ვარ ნამყოფი ანაკლიაში, ჩვენი პარტნიორობა არ არის ჩემი და მამუკას სეირნობა ანაკლიის სანაპიროზე“



„არ ვარ ნამყოფი ანაკლიაში, მაგრამ, არა მგონია, ეს ფაქტი პროექტის წარმატებულ განხორციელებას ხელს უშლიდეს“.

ამის შესახებ ვიცეპრემიერმა მაია ცქიტიშვილმა „ფორბსის კვირაში“ განაცხადა, სადაც თიბისი ჯგუფის დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის მიპატიჟებას უპასუხა. ხაზარაძემ „ფორბსის კვირასთან“ ინტერვიუში ინფრასტრუქტურის მინისტრი ანაკლიაში მიიწვია და თქვა, რომ ის ამ დრომდე ანაკლიის პორტის ტერიტორიაზე ნამყოფი არ არის.

როგორც ცქიტიშვილი აღნიშნავს, ის, რომ ანაკლიაში ნამყოფი არ არის, ეს ფაქტი სახელმწიფოს მხრიდან პროექტის მიმართ უინტერესო დამოკიდებულებას არ ნიშნავს.

– როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, ვარ თუ არა ანაკლიაში ნამყოფი და ეს არის აღმნიშვნელი იმისა, რომ სახელმწიფო ამ პროექტით სათანადოდ დაინტერესებული არ არის, ეს არის არასწორი და ერთ-ერთი ილეთი ამ საქმის ასე წარმოჩენის... ჩვენი პარტნიორობა არ არის ჩემი და მამუკას (ხაზარაძის) სეირნობა ანაკლიის სანაპიროზე, არამედ ეს არის მუშაობა იქ, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება.

მაგალითად, ვიყავი დუშეთში, სადაც მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს პროექტს, რომელსაც ინფრასტრუქტურის სამინისტრო მართავს.

ჩემი იქ ჩართულობა აუცილებელი იყო, – განაცხადა ვიცეპრემიერმა.

მინისტრის განცხადებითვე, მან ანაკლიის პორტის შესახებ იმაზე მეტი იცის, ვიდრე უნდა იცოდეს.

– რაც შეეხება ანაკლიის პორტის პროექტში ჩემს გათვითცნობიერებას, მე იმაზე მეტი ვიცი ვიდრე ამ პროექტთან მიმართებაში უნდა ვიცოდე, რადგან ეს პროექტი პირველ რიგში ინვესტორის მიერ ხორციელდება, – აღნიშნა მაია ცქიტიშვილმა „ფორბსის კვირაში“.

ცქიტიშვილის განცხადებითვე, პროცესი სასურველია დაუბრუნდეს იმ სამუშაო რეჟიმს, რა რეჟიმშიც ის უნდა წარმოებდეს.

– ამ პროცესის საინტერესო მხარე ის არის, რომ სამუშაო რეჟიმი პარალელურად მიმდინარეობს. მამუკა ხაზარაძე იდგა პარლამენტის ტრიბუნასთან და მე მას შემდეგ მივედი, რაც თუნდაც ერთმა კომიტეტმა ოფიციალური მიწვევა გამომიგზავნა, მას შემდეგ მე გამოვხატე ინიციატივა, რადგან ვნახე, რომ ძალიან ბევრი დეპუტატის მსგავსი ინიციატივა საჯაროდ იქნა გამოცხადებული. მე გადავწყვიტე, პლენარულ სხდომაზე გამოვცხადებულიყავი, – განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

BMG

# მამუკა ხაზარაძე: „როდესაც ჩვენ გვეპატია რაღაც, ასევე სახელმწიფომაც მოგვთხოვა თავისი ვალდებულებების გადავადება“



– დამოკიდებულება არ არის სწორი, რომ მე სახელმწიფო ვარ, მე შემიძლია, შენზე ვისაუბრო და, შენ რადგან ჩემზე პატარა ხარ, არ შეგიძლია, ისაუბრო!

ამის შესახებ ბიზნესმენმა მამუკა ხაზარაძემ განაცხადა. მამუკა ხაზარაძემ ანაკლიის პროექტის განხორციელების პროცესში როგორც სახელმწიფოს, ასევე კონსორციუმის მხრიდან ვალდებულებებზე ისაუბრა.

– რა თქმა უნდა, ჩვენ გვქონდა გადავადებები ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. მთელი პასუხისმგებლობით ვლაპარაკობ, რომ არანაირი ჯარიმა სახელმწიფოს მხრიდან ჩვენ არ მიგვიღია და არავის ეს ჯარიმა არ უპატიებია. იმიტომ, რომ ყოველთვის არსებობდა რაღაც ობიექტური მიზეზები და ეს არ იყო ჩვენს გამო გამოწვეული. ეს იყო უამრავი მიზეზის გამო გამოწვეული. ასეთი პროექტი ქაღალდზე რომ იწერება, არ ნიშნავს, რომ რეალურად მასე გადავა, იმიტომ, რომ უამრავ რამეზეა დამოკიდებული. ამავე დროს როდესაც ჩვენ გვეპატია რაღაც, ასევე სახელმწიფომაც მოგვთხოვა თავისი ვალდებულებების გადავადება. ეს შეგვიძლია დოკუმენტურად გაჩვენოთ. დამოკიდებულება არ არის სწორი, რომ მე სახელმწიფო ვარ, შენ ჩემზე პატარა ხარ და შემიძლია შენზე ვისაუბრო და შენ არ შეგიძლია ისაუბრო, – განაცხადა მამუკა ხაზარაძემ „რუსთავი 2-ის“ ეთერში გადაცემა „ფორბსის კვირისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ამასთან, მამუკა ხაზარაძე აცხადებს, რომ ის არასდროს ყოფილა პრივილეგირებული ბიზნესმენი მისი საქმიანობის განმავლობაში.

IPN

# 25 მარტს საქართველოში სოციალური მუშაკები გაიფიცებიან

დღეს, 25 მარტს, 08:30 საათიდან, მთელი ქვეყნის მასშტაბით სოციალური მუშაკების გაფიცვაა დაანონსებული. სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკები უმძიმესი სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და ბენეფიციარებისათვის ეფექტური და მყისიერი მომსახურებების შექმნას ითხოვენ.

სოციალურმა მუშაკებმა კოლექტიური დავა სოციალური მომსახურების სააგენტოს წინააღმდეგ 2019 წლის 8 თებერვალს დაიწყეს. თვენახევრიანი მედიაციის პროცესი უშედეგოდ დასრულდა.

ჯანდაცვის სამინისტროში განმარტავენ, რომ სოციალური მუშაკების სამუშაო პირობების გაუმჯობესებისთვის აქტიურად მუშაობენ. მათივე თქმით, ორშაბათიდან სხვა თანამშრომლების მობილიზაცია მოხდება, რომ ბენეფიციარები არ დაზარალდნენ.

Imedinews



# შშმ პირთათვის განკუთვნილ ადგილებზე მანქანების პარკირებაზე ჯარიმა 50 ლარამდე იზრდება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის განკუთვნილ ადგილზე მანქანების პარკირების შემთხვევებზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მკაცრდება და ფინანსური სანქცია იზრდება.



პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 25 მარტის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილავს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებებს, რომლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის განსაზღვრულ პარკირების ადგილზე არაუფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირებისას მოქმედი 10-ლარიანი ჯარიმა იზრდება და განისაზღვრება 50 ლარით, როგორც დედაქალაქის, ასევე თვითმმართველი ქალაქების ტერიტორიაზე და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში.

– პრობლემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საზოგადოების ცნობიერების გარდა, ჯარიმის ის სახეა, რაც მსგავს დარღვევაზე „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“ არის გათვალისწინებული, კერძოდ, 10 ლარის ოდენობით. მართალია, აღნიშნული დარღვევა, ჯარიმასთან ერთად, ითვალისწინებს ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას, მაგრამ ფაქტები იმდენად ხშირია, რომ არსებული საკანონმდებლო ნორმები ეფექტურად ვერ ხორციელდება. სურათი კიდევ უფრო მძიმდება მეორეხარისხოვან ქუჩებზე და ავტოსადგომებზე. ამდენად, ერთნაირი მიდგომის გავრცელება – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის განსაზღვრულ პარკირების ადგილზე არაუფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირებასა და პარკირების წესების სხვა სახის დარღვევებზე არ პასუხობს არსებულ გამოწვევებსა და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს, სადაც პირველი სახის დარღვევა რამდენჯერმე აღემატება მეორეს, – ნათქვამია პროექტის განმარტებით ბარათში.

კანონპროექტის ინიციატორები არიან პარლამენტის წევრები: რატი იონათამიშვილი, სოფო კილაძე, ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, ვანო ზარდიაშვილი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, ცოტნე ზურაბიანი.

IPN

# ვაკეში მოსახლეობა პოლიციას დაუპირისპირდა
## „გასაქანს აღარ აძლევენ ამ ბიჭებს“



ხმაური და დაპირისპირება იყო პოლიციასა და ადგილობრივებს შორის ჭავჭავაძის პროსპექტზე – მოსახლეობის პროტესტი სტუდქალაქის ტერიტორიაზე 2 ახალგაზრდა მამაკაცის დაკავებას მოჰყვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ახალგაზრდები ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გააჩერეს და მათი შემოწმება გადაწყვიტეს.

პოლიციელებს ეჭვი ნარკოტიკების შეძენა-შენახვაზე ჰქონდათ, თუმცა ახალგაზრდებმა სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს, რის შემდეგაც ისინი დააკავეს.

ამის შემდეგ ადგილზე უკვე საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა და გაჩხრიკეს ის ავტომობილიც, რომლითაც ახალგაზრდები გადაადგილდებოდნენ.

– ეს ხდება ყოველდღიურად აქ. იმიტომ, რომ გასაქანს აღარ აძლევენ ამ ბიჭებს. ქუჩაში რომ გამოხვალ, შმონი და არის ერთი ამბავი. ეს გვინდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს ეს ამბავი. ხო არ შეიძლება, რამდენჯერაც მოუნდებათ, იმდენჯერ შემოცვივდნენ, გაჩხრიკონ და უბედურება. 24 საათი ეს არ უნდა ხდებოდეს, – განაცხადა ადგილობრივმა მცხოვრებელმა.

შემთხვევის ადგილზე ვითარების გასაცნობად მივიდა პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნება – ძლიერი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე, ვაკის მაჟორიტარი დეპუტატი ბიძინა გეგიძე.

– მე დამირეკა მოსახლეობამ, მცხოვრებლებმა და მოვედი იმიტომ, რომ გავერკვე, რა მოხდა და, რაც მთავარია, პოლიციას უნდა მიეცეს თავისი ფუნქციის განხორციელების საშუალება, – განაცხადა ბიძინა გეგიძემ.

# „ბიძინა კუჭავა მოკლულია“
## მისი მეუღლე პროკურატურაში დაიბარეს



სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორ ვახტანგ ქირიას მკვლელობაში ბრალდებულ ბიძინა კუჭავას მეუღლე პროკურატურაში დაიბარეს.

როგორც მარინე ნიკოლოზაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, საქმეში ბევრი გაურკვეველი დეტალია და იმედოვნებს, რომ დღეს, 25 მარტს, პროკურატურაში კითხვებზე პასუხს მიიღებს. მისივე თქმით, კონკრეტული მოთხოვნებისა და პრეტენზიების შესახებ დამატებით განცხადებას მოგვიანებით გააკეთებს.

– ორშაბათს, 10:30 საათზე, უნდა მივიდა პროკურატურაში და გარკვეული შეხვედრა გვექნება. მე ვთვლი, რომ პროკურატურისა და შსს-ს მხრიდან ბევრი დარღვევაა ბიძინა კუჭავას საქმესთან დაკავშირებით. მაქვს კონკრეტული მოთხოვნები, პრეტენზიები და კითხვები, – აცხადებს მარინე ნიკოლოზაშვილი.

ბიძინა კუჭავას მეუღლე საგამოძიებო უწყებებისგან საქმის მასალებზე წვდომასაც ითხოვს. ამასთან, მარინე ნიკოლოზაშვილის თქმით, მას აქვს გონივრული ვარაუდი, რომ ბიძინა კუჭავა მოკლეს და თვითმკვლელობის მუხლის გადაკვალიფიცირებას ითხოვს.

– ვითხოვ მთელ სიას, რა ღონისძიებები ჩაატარა პროკურატურამ ამ საქმესთან დაკავშირებით. ასევე მოვითხოვე, რომ მუხლს, რომლითაც არის აღძრული საქმე თვითმკვლელობასთან დაკავშირებით, შეეცვალოს კვალიფიკაცია და საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრას. მე მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ბიძინა კუჭავა მოკლულია. ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს და მიპასუხოს ამ კითხვებზე, – განაცხადა მარინე ნიკოლოზაშვილმა.

შსს-ს ინფორმაციით, პროკურორი ვახტანგ ქირია 2016 წლის იანვარში, რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში მოკლული იპოვეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მკვლელობაში ბრალდებულად ბიძინა კუჭავა 17 იანვარს გამოაცხადა.

უწყების ცნობით, ბიძინა კუჭავამ თავი მოიკლა მაშინ, როდესაც სამართალდამცველები დაედევნნენ მის მანქანას და შეაჩერეს.

**იპნ**

# ვაჟა-ფშაველაზე, რესტორან HB-ში, პოლიცია ტყვიებს ეძებდა

ვაჟა-ფშაველას გამზირზე, რესტორან HB-ში რამდენიმე საათის განმავლობაში პოლიცია იყო მობილიზებული.

საგამოძიებო უწყების წარმომადგენლები თავდაპირველად იქ ტყვიის მასრებს ეძებდნენ, რადგან სავარაუდო სროლის შესახებ პოლიციას ერთ-ერთმა სტუმარმა აცნობა.

დაზიანებული იყო რესტორნის ვიტრაჟი, თუმცა აღმოჩნდა, რომ ფანჯარას ქვა ესროლეს.

# შსს-მ მაღაზია „სმაილის“ ქურდობის ფაქტი გახსნა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდობის ბრალდებით 2004 წელს დაბადებული გ.ვ. და 2002 წელს დაბადებული ლ.ა. ქურდობაში ამხილეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ 23 მარტს, არასრულწლოვნებმა ვარკეთილში მაღაზია „სმაილი“ გაქურდეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. პოლიციამ ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღო. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ს მუხლის მე– 2 ნაწილით მიმდინარეობს“, – აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

# ორი თვის წინ დაკარგული შოთა სამხარაძე კურორტ შოვთან გარდაცვლილი იპოვეს

ორი თვის წინ დაკარგული 23 წლის შოთა სამხარაძე გარდაცვლილი იპოვეს. აღნიშნულ ფაქტს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ.



გარდაცვლილის მეგობრების ინფორმაციით, შოთა სამხარაძე გუშინ კურორტ შოვთან ახლოს, ტყეში იპოვეს.

23 წლის ბიჭის ახლობლები თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

გარდაცვალების მიზეზს ექსპერტიზა დაადგენს.

ახალგაზრდა მამაკაცი ონის მუნიციპალიტეტში ორი თვის წინ დაიკარგა. სამაშველო სამსახურში შეტყობინება 14 იანვარს შევიდა.

თვითმხილველების თქმით, ბიჭი ბოლოს სასტუმროების მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ თოვლის ფესტივალზე ნახეს. მან მოგვიანებით ტერიტორია დატოვა და მას შემდეგ აღარ გამოჩენილა.

# 13 წლის ძმისშვილის მკვლელობაში ბრალდებულ ვალერი ირემაძეს ორწლიანი იძულებითი მკურნალობა განესაზღვრა

რუსთავის სასამართლოს გადაწყვეტილებით, 13 წლის ძმისშვილის მკვლელობაში ბრალდებულ ვალერი ირემაძეს იძულებითი მკურნალობა განესაზღვრა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს განცხადებით, მოსამართლე მადონა მაისურაძემ პროკურატურის მიერ წარდგენილი სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით, უწყების შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ვალერი ირემაძეს ორწლიანი იძულებითი მკურნალობა განუსაზღვრა.



13 წლის ძმისშვილის მკვლელობაში ბრალდებულ პირი იძულებით მკურნალობას ხონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაივლის.

ამასთან ცნობილი გახდა, რომ რუსთავში 13 წლის მოზარდის მკვლელობის ფაქტის შემდეგ, საპატრულო პოლიციის 3 თანამშრომელი შსს-ს რიგებიდან დაითხოვეს და ამ ფაქტზე მოკვლევა გრძელდება.

# იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო დასაგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით 1980 წელს დაბადებული ლ.მ. თბილისში დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ლ.მ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის ტერიტორიაზე იმ დროს შეაჩერეს, როდესაც იგი მსუბუქი ავტომანქანით გადაადგილდებოდა. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

# ყოფილი მეუღლეების ცემისთვის 60 და 51 წლის მამაკაცები დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1967 წელს დაბადებული რ.ფ. ოჯახში ძალადობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა ბორჯომის რაიონის დაბა ახალდაბაში ყოფილი მეუღლეს – ზ.შ-ს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ასევე, ოჯახში ძალადობის ბრალდებით დააკავეს ახალქალაქის რაიონულ სამმართველოს თანამშრომლებმა 1958 წელს დაბადებული მ.ი.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ახალქალაქის რაიონის სოფელ ბეჟანოში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს – 1967 წელს დაბადებულ შ. კ.-ს.

ორივე ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჩადენილ ძალადობას გულისხმობს.

# ვაჟაზე მანქანა სამშენებლო ამწეს დაეჯახა
## 2 ადამიანი დაიღუპა

ვაჟა-ფშაველას გამზირზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა.

შემთხვევა 22 მარტს, ღამით მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ნისანის მარკის ავტომობილი სამშენებლო ამწეს დაეჯახა. შეჯახების შედეგად ქვეითი და ნისანის მძღოლი ადგილზე დაიღუპნენ.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# თბილისში, ვეფხისა და მოყმის ძეგლთან, ერთმანეთს 5 მანქანა შეეჯახა



თბილისში, ვეფხის და მოყმის ძეგლთან, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს 5 ავტომობილი შეეჯახა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, შემთხვევის შედეგად ერთი პირი დაშავდა, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა საავადმყოფოში გადაიყვანა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

# ასტანისთვის ნურსულთანის დარქმევა ყაზახეთში გააპროტესტეს



ყაზახეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ტოკაევმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის ძალითაც ქვეყნის დედაქალაქს სახელი უკვე ოფიციალურად შეეცვალა. ასტანას ნურსულთანი დაერქვა.

– ეს ყაზახეთის პირველი პრეზიდენტის, ნაზარბაევის პატივსაცემად მოხდა, – თქვა ტოკაევმა.

ყაზახეთის პარლამენტმა, თავის მხრივ, მხარი დაუჭირა შესწორებას კონსტიტუციაში, რომლის ძალითაც დედაქალაქს ნურსულთანი დაერქვა.

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული. ზოგიერთმა დეპუტატმა რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვა. ტოკაევმა ამაზე მიუგო:

– რეფერენდუმის აუცილებლობა არ არსებობს!

ასტანისთვის ნურსულთანის დარქმევას რიგ ქალაქებში საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. პოლიციამ ისინი დაარბია. დაკავებულთა შორის ჟურნალისტებიც აღმოჩნდნენ. ისინი ცოტა ხნის შემდეგ გაათავისუფლეს.

– ჩვენ საპროტესტო აქციებს ვაშუქებდით, თუმცა ხელისუფლება ცდილობდა, ამაში ხელი შეეშალა, – აცხადებენ რადიო „თავისუფლების“ ყაზახეთის ბიუროს თანამშრომლები.

# სირიაში ისლამური სახელმწიფო აღარ არის



აშშ-ის ეგიდით შექმნილმა სირიის დემოკრატიულმა ძალებმა ექსტრემისტები ევფრატის ნაპირის იმ მცირე ტერიტორიიდანაც განდევნეს, რომელსაც ისინი აქამდე აკონტროლებდნენ.

ამრიგად, სირია ისლამური სახელმწიფოსგან საბოლოოდ გაიწმინდა.

– ექსტრემისტები დამარცხდნენ, – ასეთი განცხადება გაავრცელა სირიის დემოკრატიული ძალების პრესცენტრის უფროსმა მუსტაფა ბალიმ.

# გროდნოში თავისუფლების დღე აღნიშნეს



ბელორუსის ქალაქ გროდნოში თავისუფლების დღე აღნიშნეს. ღონისძიებას 4.000-მდე აქტივისტი დაესწრო.

მასში მონაწილეობა როგორც გროდნოელებმა, ასევე მინსკიდან ჩასულმა აქტივისტებმა მიიღეს. თავდაპირველად ნავარაუდევი იყო, რომ თავისუფლების დღე მინსკში აღენიშნათ. მისი ორგანიზატორები მოითხოვდნენ, რომ საამისოდ დინამოს სტადიონი გამოეყოთ. ამაზე უარი პირადად პრეზიდენტმა ლუკაშენკომ განაცხადა. ბელორუსის პრეზიდენტმა ასევე კატეგორიული უარი თქვა იმაზე, რომ თავისუფლების დღე ოფიციალურ დღესასწაულად გამოცხადებულიყო.

– ბელორუსი არასოდეს გადაიქცევა უკრაინად, სადაც ბანდერელებს პატივს მიაგებენ სახელმწიფო დონეზე! რაო, რუსეთთან ომი გინდათ?! – თქვა ლუკაშენკომ.

# სპეცპროკურორმა მულერმა გამოძიება დაასრულა




სპეცპროკურორმა მულერმა დაასრულა გამოძიება, რომელიც აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში (2016 წელი) რუსების ჩარევის საკითხს შეეხებოდა.

აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა ბარმა განაცხადა, რომ საზოგადოებას ჯერჯერობით ამ მოხსენების შინაარსს არ გააცნობენ.

– მულერთან კონსულტაციების შემდეგ ერთად გადავწყვეტთ, გამოძიების რა ნაწილი გავაცნოთ კონგრესმენებს. ამის შემდეგ უკვე კონგრესმენებთან ერთად გადავწყვეტთ, თუ რა გავაცნოთ საზოგადოებას, – თქვა ბარმა.

კონგრესის სპიკერმა, დემოკრატმა პოლოსიმ ბარს მოუწოდა, რომ როგორც კონგრესმენებს, ასევე საზოგადოებასაც მულერის გამოძიების შედეგები დაუყოვნებლივ გააცნონ.

# ნატო პოლონეთში აშშ-ის სამხედრო საცავს ააშენებს

ნატო-მ პოლონეთში აშშ-ის სამხედრო ტექნიკისთვის სამხედრო საცავის მშენებლობა დაგეგმა, რომლის ღირებულებაც 260 მილიონი აშშ დოლარი იქნება.

ახალი ობიექტი პოლონური სოფლის – პოვიდზის მახლობლად მდებარე პოლონეთის სამხედრო საჰაერო ძალების ბაზას ამერიკის შეიარაღებული ძალებისთვის სატრანსპორტო კვანძად გარდაქმნაში დაეხმარება.

ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, სამშენებლო სამუშაოები ზაფხულისთვის დაიწყება და 2 წლის განმავლობაში გაგრძელდება.

სამხედრო საცავში ამერიკული ჯავშანტექნიკა, საბრძოლო მასალები და შეიარაღება განთავსდება.

– ეს ადასტურებს ამერიკასთან ჩვენს მჭიდრო თანამშრომლობას. ეს საცავი გახდება საფუძველი პოლონეთში ამერიკის ყოფნის გაძლიერებისა, – განაცხადა გენერალურმა მდივანმა.

# ინგლისელები ბრექსიტის წინააღმდეგ




ლონდონში ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის საწინააღმდეგო დემონსტრაცია ჩატარდა.

მასში 700.000 ადამიანი მონაწილეობდა. ზოგიერთი წყაროს ცნობით, მანიფესტანტთა რაოდენობა მილიონს აღწევდა.

დემონსტრანტები ბრექსიტის წინააღმდეგნი არიან და განმეორებითი რეფერენდუმის დანიშვნას მოითხოვენ. შექმნილ სიტუაციაში ისინი ადანაშაულებენ პრემიერ ტერეზა მეის, რომელიც ხელახალი რეფერენდუმის წინააღმდეგია.

# იტალია აბრეშუმის გზას შეუერთდა



იტალიის პრემიერმა კონტემ და ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალითაც იტალია დიდი აბრეშუმის გზას შეუერთდა.

იტალია დიდი შვიდეულის პირველი სახელმწიფოა, რომელიც აბრეშუმის გზას შეუერთდა.

იტალიის პრემიერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ქვეყანა ჩინეთში ექსპორტის გაზრდას გეგმავს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### ერთგულმა ძაღლმა პატრონის დევნაში კიდურები დაიზიანა



ტაილანდის ქალაქ პატაიაში პატრონებმა თავიანთი ძაღლი ქუჩაში დატოვეს და გაემგზავრნენ. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. ვიდეორგოლის ავტორი კეტ იაროენსუკი მოტოციკლის უკანა სავარძლით მგზავრობდა, როდესაც შენიშნა ძაღლი, რომელიც ვერცხლისფერ პიკაპს მისდევდა. მან მანქანის მინაზე მიაკაკუნა და შიგნით მჯდომი წყვილის ყურადღება ადევნებულ ძაღლს მიაპყრო. მათ გვერდითი მინა დაუშვეს და დაიძახეს, რომ ის მათ არ სჭირდებოდათ.

– მათ თავიანთი ძაღლი განზრახ დატოვეს ქუჩაში, – დაასკვნა იაროენსუკმა, – არ ვიცი, რამდენად დიდხანს მისდევდა ძაღლი მანქანას, მაგრამ ვნახე, რომ მას თათები ერთიანად დასერილი ჰქონდა.

გოგონას ვერსიით, წყვილი ახალ ბინაში გადავიდა და გადაწყვიტა, ძაღლი თავიდან მოეშორებინა.

### გოგონამ ვალების გამო საკუთარი კვერცხუჯრედი გაყიდა



ჩინეთის პროვინცია ხუბეის ქალაქ უხანის მკვიდრმა სტუდენტმა გოგონამ განაცხადა, რომ ვალების გამო იძულებული გახდა, საკუთარი კვერცხუჯრედი შავ ბაზარზე გაეყიდა.

ვალების გასასტუმრებლად გოგონას 60 ათასი იუანი სჭირდებოდა. მან მიმართა არალეგალურ სააგენტოს, რომელიც კვერცხუჯრედებს უშვილო ქალებისთვის გადასანერგად ყიდულობს. განცხადებებს ასეთი წინადადებებით ხშირად აკრავენ სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში. როგორც წესი, ისინი მსურველებს 10-დან 50 ათას იუანამდე სთავაზობენ ერთ ოპერაციაში, რომლის დროსაც რამდენიმე კვერცხუჯრედის ამოღება ხდება.

სტუდენტმა გოგონამ ორჯერ ჩაიტარა მსგავსი პროცედურა და 29 კვერცხუჯრედი გაყიდა. ყოველ ჯერზე მას საავადმყოფოში მრავალდღიან გამოკვლევაზე აგზავნიდნენ.

– ისინი შენი განათლების დონესა და ჯანმრთელობას ამოწმებენ, – ამბობს გოგონა, – ზოგიერთი სააგენტო ასევე ითვალისწინებს შენს სიმაღლესა და გარეგნობას.

### კურდღლის სოროში შემძვრალმა ტაქსამ იქ ხუთი დღე გაატარა



ინგლისის უესტ-იორკშირის საგრაფოს სოფელ ჰოერტში მრავალდღიანი ძებნის შემდეგ დაკარგულ ძაღლს კურდღლის სოროში მიაგნეს.

ტაქსა, სახელად რალფი, სახლის მახლობლად სეირნობის დროს დაიკარგა. პატრონები რამდენიმე დღე ეძებდნენ შინაურ ცხოველს. გარდა ამისა, მათ ფეისბუქით სთხოვეს დახმარება მეგობრებსა და მეზობლებს. ყველა ძალისხმევა ფუჭი აღმოჩნდა.

ხუთი დღის შემდეგ დაკარგული ძაღლის პატრონმა სასეირნოდ რალფის და, სახელად ედი გაიყვანა. სახლიდან დაახლოებით კილომეტრ-ნახევარში მას მიწის სიღრმიდან წკავწკავის ხმა მოესმა.

ის ნაცნობთან ერთად ორი საათი თხრიდა ლაბირინთს, რომელიც კურდღლის სოროდან მიემართებოდა. რალფი მათში მიწის ზედაპირიდან მეტრ-ნახევრის სიღრმეში იყო გაჭედილი. ძაღლი იქიდან თავის დაღწევას ცდილობდა, მაგრამ დაიღალა და ძალიან გახდა.

ტაქსას პატრონი ფიქრობს, რომ რალფი კურდღელს გაეკიდა და მის სოროში ასე აღმოჩნდა.

– მას კურდღლების დევნა უყვარს და ამას ხშირად აკეთებს, მაგრამ ამჯერად ძალიან ღრმად შეტოპა, – განაცხადა ტაქსას პატრონმა, – იმედია, ეს მისთვის გაკვეთილი იქნება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

**სხვადასხვა**

- ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საქართველომ ევროშესარჩევი შვეიცარიასთან მარცხით დაიწყო

**<u>საქართველო-შვეიცარია 0:2</u>**

**თბილისი. დინამო არენა**

0:1 ცუბერი (57), 0:2 ზაკარია (80)

**საქართველო:** ლორია, კაკაბაძე, ხოჭოლავა, კაშია, ტაბიძე (კვირკველია 61), კვეკვესკირი, ყაზაიშვილი, კანკავა, გვილია, ანანიძე (კაჭარავა 83), ქვილითაია (ლობჟანიძე 73)

**შვეიცარია:** სომერი, ლიხშტაინერი, შარი, აკანჯი, როდრიგესი, ემბოლო (სტეფენი 83), ზაკარია, ჯაკა, ფროილერი (სოუ 89), ცუბერი, გავრანოვიჩი (აჯეტი 60)

საქართველოს ნაკრებმა მორიგი შესარჩევი ჯგუფი წაგებით დაიწყო. ეს არ არის გასაკვირი – ადრეც წაგვიგია. მით უფრო, რომ მეტოქედ ძლიერი გუნდი გვყავდა. შვეიცარიის ნაკრები საკუთარი წარმოების საათივით აწყობილი გუნდია. ყველა ფეხბურთელმა იცის სად, როგორ და რისთვის დგას მოედანზე. „ჯვაროსნებმა" 45 წუთი გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა, მეორე ნახევარში კი უშანსოდ იყვნენ.

ნათქვამია, მეორე ტაიმს მწვრთნელი იგებსო და ეს პეტკოვიჩმა მოიგო. ვერ ვიტყვით, რომ ვლადიმირ ვაისი გასაშვებია, მაგრამ უკეთესი გადაწყვეტილებების მიღება მართებს. ეს შეეხება როგორც სასტარტო შემადგენლობას, ისე ცვლილებებსა და ტაქტიკურ გადაადგილებებს თამაშის პროცესში.

არც იმას ვიტყვით, რომ ვაისზე უკეთესი სპეციალისტები ვართ და მასზე მეტი ვიცით. უბრალოდ, მატჩის შემდეგ ყველაფერი ნათლად ჩანს. ამას სლოვაკი სპეციალისტიც ხედავს, მაგრამ ცოტა არ იყოს, ჯიუტობს. ალბათ, სურს, რომ თავისი სისწორე დაამტკიცოს. არ გამოადგება ასე, რადგან ასეთი „ჯიუტი" ცოტა ხნის წინ წვრთნიდა ჩვენს გუნდს და ცუდად დაასრულა „ჯვაროსნების" „დამოძღვრა".

ისიც დიდი ხანია ვიცით, რომ ქართველ ფეხბურთელებს შვეიცარიელებთან შედარებით, სათამაშო კლასი აკლიათ, მაგრამ უთამაშებელ-უპრაქტიკო ფეხბურთელების ნაცვლად უფრო უპრიანი იქნებოდა რამდენიმე ისეთი ფეხბურთელის გამოცდა, რომლებსაც თავიანთ გუნდებში სათამაშო დრო აქვთ.

არადა, იყო ნახევრად მომენტები, სადაც შეიძლებოდა გამართლება, მაგრამ არ გამოვიდა. ფეხბურთი მცირე დეტალებისგან შედგება და ამ დეტალებში გაცილებით გამოცდილმა მეტოქემ ივარგა.

პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად უკმაყოფილო არ უნდა ვყოფილიყავით. ბევრი იყო ტაქტიკური ბრძოლა, სადაც მეტოქე დიდად ვერ გვჯობდა. შედეგიც სამართლიანი იყო – 0:0.

ორივე კართან თითოჯერ დაიძაბა სიტუაცია. 33-ე წუთზე რიკარდო როდრიგესმა ჯარიმა შეასრულა, ბურთი ცოცხალ კედელს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და აშკარა გოლს გადავურჩით – ძელს ოდნავ ჩაუარა. ამ შემთხვევაში ლორიაც უძლური იქნებოდა, რადგან სულ სხვა მიმართულებით ელოდა ბურთს და მოძრაობაც იქით ჰქონდა დაწყებული.

საქართველოსაც შეეძლო გატანა – ვაკო გვილიასა და ვაკო ყაზაიშვილის კარგი კომბინაცია გავიდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ ივარგა, მეტისმეტად სუსტად და თანაც ზუსტად იქ დაარტყა, სადაც იან სომერი იდგა.

მეორე ტაიმის პირველი სიტყვა საქართველოს ნაკრების იყო – ჯანო ანანიძის კუთხურის შემდეგ დავით ხოჭოლავამ დაარტყა და მცველმა ხელით გამოიტანა ბურთი კარის ხაზიდან. ინგლისელმა არბიტრმა კრეიგ პოუსენმა ხოჭოლავა შეტევაში დააჯარიმა.

ეგ იყო და ეგ, მერე შვეიცარიის ნაკრები სრულ უპირატესობას დაეუფლა და 10 წუთი თამაში ჩვენს ნახევარზე მიმდინარეობდა. ჯერემო ფროილერი მაგარ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ ააცილა.

ანგარიში 57-ე წუთზე სტივენ ცუბერმა გახსნა. მისი დაფარული დარტყმული ბურთი ლორიამ ვერ აიღო. გოლამდე გრძელი, 50-მეტრიანი პასი ბრეელ ემბოლომ ძალიან თავისუფლად მიიღო ცუბერსაც მარტივად მიაწოდა. ეს უკვე მცველების ბრალია.

გაშვებული გოლის მერე იყო რამდენიმეწუთიანი პანიკა, როდესაც სტუმრებმა რამდენჯერმე შექმნეს ხიფათი. ემბოლოს ლორიამ ფანტასტიკური სეივით აჯობა.

71-ე წუთზე გვილიამ დაარტყა შორიდან, მაგრამ არაზუსტად. თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე კი ინტრიგაც დაიკარგა – ლორიამ პირისპირ შემტევს კი აჯობა, მაგრამ დამატებაზე დენის ზაკარიამ მაინც გაიტანა – 0:2.

**ვლადიმირ ვაისი:**

– სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ შეგვიძლია, ამ დონეზე ვითამაშოთ 90 წუთი და მეტოქემ დამსახურებულად გაიმარჯვა. შვეიცარიას ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელები ჰყავს, რომლებიც ძლიერ ლიგებში თამაშობენ და ფიზიკურად აშკარად გვაჯობეს. მათთვის ასეთ დონეზე თამაში გასაკვირი არაა, ჩვენ კი, წელიწადში მხოლოდ 6 თამაშს თუ ვთამაშობთ მსგავს დონეზე...

კვირკველია? გადავწყვიტე, რომ ხოჭოლავასთვის მიმეცა შანსი, ხოლო კვირკველიამ იცის, რატომაც არ ითამაშა თავიდანვე. არაფერი მომხდარა, უბრალოდ ავუხსენი, რატომ არ დავაყენე ძირითად შემადგენლობაში...



ანანიძე? ჩემი აზრით, მან პირველი ტაიმი ჩემი ხელმძღვანელობით საუკეთესოდ გაისარჯა, მაგრამ მეორე ნახევარში მეტოქემ თამაში გადააწყო და ამიტომაც, ვერ მოახერხა სათანადო დონეზე თამაში. გავითვალისწინოთ, რომ ქვილითაიას 6 თვე გაუცდა, ჯანომაც მხოლოდ ახლა დაიწყო რუსეთში რეგულარულად თამაში, კაკაბაძემ ბოლო სამი თვის განმავლობაში პირველი თამაში ჩაატარა და ბუნებრივია, ისინი საუკეთესო ფორმაში არ არიან...

ოქრიაშვილი სამი თვეა, უგუნდოდ არის და მაინტერესებდა, როგორ ფორმაში იქნებოდა, თუმცა, აღმოჩნდა, რომ 15 წუთის სათამაშოდ ამჟამად მზად არაა. ამ ჯგუფში შვეიცარია მართლაც გამორჩეულია და დიდი რესურსი გააჩნია. მათი ფეხბურთელები ფიზიკურად ძალიან კარგად არიან მომზადებულები.

შვეიცარიის ნაკრებთან ღია თამაში, შესაძლოა თვითმკვლელობა იყოს. ასეთი მეტოქის წინააღმდეგ ორივე ტაიმის თანაბრად თამაში საკმაოდ რთულია ამ შემადგენლობით. მოგეხსენებათ, ჩვენი ფეხბურთელები როგორ ჩემპიონატებში თამაშობენ. შეგიძლიათ გამაკრიტიკოთ, მაგრამ რეალობა ასეთია. პირველი ნახევრის შემდეგ მეორე ტაიმის კარგად ჩატარებისთვის შესაბამის ფიზიკურ კონდიციებში ყოფნაა საჭირო.

ირლანდიასთან მატჩი? ცვლილებები აუცილებლად იქნება, 2 ან 3. ვიცით, რომ ტაბიძე ვერ ითამაშებს, რადგან ტვინის შერყევა აქვს (ირლანდიაში გუნდს ვერც ჯანო ანანიძე გაჰყვა, რომელსაც მოგვიანებით მუხლის მცირე ტრავმა დაუდგინდა). ვეცდებით ირლანდიასთან ქულების მოპოვებას. ახალი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც, რა თქმა უნდა, თავის ხედვებს დანერგავდა. არასდროს არაა ამ გუნდის წინააღმდეგ თამაში, განსაკუთრებით ფიზიკური კონდიციების მხრივ. თუმცა, მიუხედავად ცუდი სტატისტიკისაა, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დუბლინში ქულები მოვიპოვოთ.

**ვლადიმირ პეტკოვიჩი:**

– პირველ რიგში, ვიტყოდი, რომ ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვარ. ვიცოდით, რომ მეტოქე საკმაოდ ძლიერი გვყავდა დადებითი მხარეებით. თავიდან ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ მეორე ტაიმში მოვუმატეთ, დაცვაშიც კარგად ვიდექით. ერთადერთი, რაც მინუსად მიმაჩნია, მომენტების გამოუყენებლობაა, შეგვეძლო მეტი გოლი გაგვეტანა და ამაზე მომავალში აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ...

ჩვენ ყველა მეტოქეს სერიოზულად ვუდგებით და პატივს ვცემთ. ეს მთავარი კომპონენტია, მაგრამ გამარჯვებისთვის კარგად მომზადებაა საჭირო და კონკრეტული თამაშებისთვის საჭირო ცვლილებების გაკეთება. ჩვენ ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელები გვყავს და ისინი თავდაჯერებას იღებენ, რაც დღესაც გამოჩნდა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. რა თქმა უნდა, პირველი თამაშის მოგება ძალიან მნიშვნელოვანია, წნეხი ოდნავ მოგვეხსნება. ვნახოთ, რა იქნება შემდეგ მატჩებში, ახლა სახლში დავბრუნდებით და დანიასთან შემდეგი მატჩისთვის მშვიდად მოვემზადებით...

რა თქმა უნდა, მჯერა, რომ საქართველოს ნაკრებს შეუძლია ამ ჯგუფში 1-2 სიურპრიზის გაკეთება. იმედი მაქვს, ეს ჩვენთან მეორე თამაშში არ მოხდება. გულწრფელად ვამბობ, რომ საქართველოს ნაკრებს შეუძლია დიდი წინააღმდეგობის გაწევა მეტოქეებისთვის, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ. პუბლიკაც თავიდანვე დავაწყნარეთ და ჩვენი თამაშით. თუმცა, სხვა მატჩები შესაძლოა სხვაგვარად წარიმართოს და ნამდვილად შეუძლია სიურპრიზების შემოთავაზება...

დღევანდელი თამაში? ყველაფერი დაახლოებით ისე წარიმართა, როგორც ველოდი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთი გუნდის თამაშს მეორე გუნდის თამაშიც განაპირობებს და, თუ დღეს საქართველომ ვერ ითამაშა ისეთი ფეხბურთი, როგორიც გსურდათ, ეს, პირველ რიგში, ჩვენი დამსახურებაა.

ჩვენივე ჯგუფში საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქემ ირლანდიამ სტუმრად 1:0 აჯობა გიბრალტარს, ხოლო დანიის ნაკრები ამ ტურში ისვენებდა.

# ქუთაისი ისევ ლიდერობს, ბათუმი გასავარდნ ზონას გაექცა

**<u>ქუთაისი-რუსთავი 87:75</u>**

**(26:19, 14:22, 30:14, 17:20)**

ლიდერისა და აუტსაიდერის მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა. მასპინძლებმა ისე იმარჯვეს, რომ 2 ქულის აღება არ გასჭირვებიათ.

პირველი მეოთხედი ქუთაისმა 7 ქულით მოიგო, მაგრამ მეორე 14:22 წააგო და დიდ შესვენებაზე ქულიანი ჩამორჩენით გავიდა. თუმცა, ნათელი იყო, რომ მასპინძლები საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ და ეს მესამე 10-წუთეულში გადაწყვიტეს.

შესვენებიდან დაბრუნებული რიონისპირელები შესანიშნავად ათამაშდნენ. არც მეტოქეს აძლევდნენ გასაქანს და ქულებსაც ბლომად იხვეჭდნენ. მასპინძლებმა 30:14 მოიგეს და დასკვნით მეოთხედს მშვიდად შეხვდნენ.

გამარჯვებულთა შორის დეჟან რაითი გამოირჩა, რომელმაც 22 ქულა და 7 მოხსნა მოინაგრა. შესანიშნავი იყო ჯონათან ლიც – 17 ქულა და 9 მოხსნა, ხოლო დავით ლომიძე 14 ქულა შეაშველა საკუთარ გუნდს. რუსთაველთაგან აჰმად მოავადი გამოირჩა, რომელმაც მატჩის ერთადერთი დუბლი მიითვალა – 20 ქულა, 13 მოხსნა. 19 ქულა კენდაიურ ჰემილტონის ანგარიშზე.

**<u>დინამო-კაკტუსი 83:70</u>**

**(16:14, 18:20, 22:24, 27:12)**

დინამომ 83:70 დაამარცხა კაკტუსი და ცხრილში პოზიცია გაიუმჯობესა. თავის მხრივ კაკტუსისთვის მძიმე იყო ეს წაგება. არჩილ ჟღენტის გაწვრთნილი გუნდი სუპერლიგაში დასარჩენად იბრძვის და მისი მთავარი მიზანი საუკეთესო 8 გუნდს შორის მოხვედრაა, რადგან დებულების თანახმად, რეგულარული ჩემპიონატის ბოლო გუნდი ა ლიგაში ქვეითდება, ხოლო მე-9 ადგილზე გასულს სუპერლიგაში დასარჩენად ა ლიგის ფინალისტთან საკვალიფიკაციო რაუნდის თამაში უწევს.

არადა, კაკტუსელები ბოლო პერიოდამდე ჩინებულად თამაშობდნენ. ჟღენტის გუნდი უმეტესად ლიდერობდა, დასკვნით პერიოდს კი 2-ქულიანი ლიდერობით შეხვდა. ბოლო ათწუთეულში ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამოელებმა სრული მობილიზებითა და რაც მთავარია, მინიმალური შეცდომებით ითამაშეს. პერიოდი დინამომ 27:12 მოიგო და საბოლოოდ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.



დინამოელებს 22 ქულით ჯორდან სვოპშირმა ულიდერა. 17 ქულა მიითვალა მერაბ ბოქოლიშვილმა. 16 ქულა და 9 მოხსნა დემაგოი ბუბალოს ანგარიშზეა. კაკტუსში 17-17 ქულით ნიკოლას ნილი და დომინიკ ელიოტი გამოირჩნენ.

**<u>ტიტები-მგზავრები 86:91</u>**

**(21: 26, 19:28, 23:20, 23:17)**

ერთმანეთს ლიდერთა შორის ადგილის დასამკვიდრებლად მებრძოლი მგზავრები და ტიტები შეხვდნენ. ლაშა გამყრელიძის გაწვრთნილ დებიუტანტ ტიტებს კი 13 ტურის შემდეგ 5 მოგება ჰქონდა და ცხრილში მე-7 ადგილზე გახლდათ, თუმცა გასავარდნ ზონასთან მხოლოდ 1 ქულა აშორებს და დარჩენილ ტურებში საიმედოდ რომ ყოფილიყო, ამ მატჩის მოგება ჰაერივით სჭირდებოდა.

არ გამოვიდა. ტიტებმა ბოლომდე იბრძოლეს და ბოლო წუთზე შანსიც გამოუჩნდათ, თუმცა ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა გადამწყვეტ მომენტში მეტი მობილიზება გამოავლინა, რევაზ ჩაჩანიძემ საკვანძო ჩაჭრა განახორციელა და მატჩს წერილი დაუსვა. მგზავრებმა საბოლოოდ 91:86 გაიმარჯვეს და 14 მატჩიდან 9 მოგებით დინამოსთან ერთად 2-3 ადგილს იყოფენ.

თამაშს თანაბარი ეთქმოდა. მგზავრები ნიადაგ ლიდერობდა, თუმცა ილია ლონდარიძის, გიორგი შარაბიძის, კაშიმ რენსომისა და ლუკ მეიერის შედეგიანი თამაში ტიტებს შანსს ბოლომდე უნარჩუნებდა. მგზავრები უფრო გუნდურად თამაშობდნენ და იმიტომაც იყო, რომ მატჩის მსვლელობისას რამდენიმე მომენტი იყო, როცა სერიოზულად გაუჭირდათ.

მატჩის დასრულებამდე 2,20 წუთით ადრე მგზავრების ლიდერმა ედრიან ბოუიმ ზუსტი სამქულიანით თავისი გუნდი 87:77 დააწინაურა. თითქოს ყველაფერი აქ გადაწყდა, თუმცა ტიტებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს და კაშიმ რენსომისა და გიორგი შარაბიძის შედეგიანობით ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირეს. გამოსარჩევია შარაბიძის ზედიზედ 2 სამქულიანი, რომლის შემდეგაც, საფინალო სირენამდე 32 წამით ადრე ანგარიში 89:86 გახდა.

კარგი დაცვის ხარჯზე ტიტებმა მეტოქის ფორვარდ პრინს უილიამსს ზონის წესის დარღვევა აიძულეს და 3 ქულით ჩამორჩენილებს ანგარიშის გასათანაბრებლად 11 წამი დარჩათ. მეტოქის ნახევრიდან გამოტანილი ბურთი ტიტებმა ვერ გაათამაშეს. რენსომს რევაზ ჩაჩანიძემ ჩაუჭრა, რომელიც ფართან პირისპირ დარჩა და ის ჯარიმით შეაჩერეს. მატჩის ბედიც აქ გაირკვა. ჩაჩანიძემ ორივე საჯარიმო ჩააგდო და მგზავრები მიუწვდომელი გახადა.

გამარჯვებულებს 23 ქულით, 8 მოხსნით და 4 პასით ედრიან ბოუიმ ულიდერა. 19-19 ქულა კახა ჯინჭარაძემ და პრინს უილიამსმა მიითვალეს. 18 ქულა რეზო ჩაჩანიძის ანგარიშზე დაგროვდა. ტიტებში 23 ქულით საუკეთესო იყო გიორგი შარაბიძე. 20 ქულა ლუკ მეიერმა მოაგროვა, ხოლო ილია ლონდარიძემ 20 ქულა და 11 მოხსნა. რენსომმა შეხვედრა 19 ქულითა და 10 პასით დაასრულა.

**<u>დელტა-ბათუმი 70:78</u>**

**(13:21, 21:16, 16:17, 20:24)**

დელტამ ბათუმს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში – 70:78 დამარცხდა. აჭარული გუნდისთვის ამ გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. გია კაზანჯიანის გაწვრთნილი გუნდი სუპერლიგაში დასარჩენად იბრძვის და მისი მთავარი მიზანი საუკეთესო 8 გუნდში მოხვედრაა. ამ გამარჯვებით ბათუმელებმა მე-9 ადგილს თავი დააღწიეს და 7-8 პოზიციას ტიტებთან ერთად იყოფენ.

მატჩს რაც შეეხება, საკმაოდ საინტერესო გამოვიდა. ბათუმელებმა ლიდერობა თავიდანვე მოიპოვეს და პირველი პერიოდი მიწურულს 15 ქულითაც იგებდნენ, თუმცა 2-წუთიან შესვენებაზე სტუმრებს 8-ქულიანი ლიდერობა შერჩათ – 21:13. დელტამ მეორე მეოთხედში თამაში გამოასწორა და დაცვის ხარჯზე მოპოვებული უპირატესობა შედეგშიც გარდასახა – დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა.

მესამე პერიოდში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა დელტამ რამდენჯერმე მოახერხა მეტოქის გადასწრება, თუმცა ბათუმელებმა თამაში დაალაგეს – სწრაფ კონტრშეტევებთან ერთად ფარქვეშა, პოზიციური თამაშიც წაუვიდათ და ბოლო პერიოდში სტუმართა ლიდერობა ისევ 10-ქულიან ნიშნულს გადასცდა.

დელტა მაინც არ დანებდა და ბოლოსწინა წუთზე ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა, თუმცა გადამწყვეტ მომენტში ბათუმელებმა მნიშვნელოვანი ჩაჭრა განახორციელეს, რომელიც კეისი შეპარდმა შედეგიანად დააგვირგვინა და ბათუმს გამარჯვება გაუნაღდა.

ზღვისპირელებს სწორედ შეპარდმა ულიდერა, რომელმაც 24 ქულა, 8 მოხსნა და 4 ჩაჭრა მიითვალა. 12-12 ქულა მოაგროვეს ავთანდილ ლომინაშვილმა და სტეფან ანდრეევიჩმა. 10 ქულა სპენსერ კოლინსის ანგარიშზეა. დელტაში 24 ქულით საუკეთესო იყო ერიკ ნოთიჯი. 19 ქულა ოთარ ფხაკაძის ანგარიშზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 14 | 12 | 2 | 1174:1081 | 26 |
| 2.მგზავრები | 14 | 9 | 5 | 1150:1070 | 23 |
| 3.დინამო | 14 | 9 | 5 | 1050:1010 | 23 |
| 4.ოლიმპი | 14 | 8 | 6 | 1144:1091 | 22 |
| 5.დელტა | 14 | 8 | 6 | 1083:1004 | 22 |
| 6.თსუ-ჰიუნდაი | 14 | 8 | 6 | 1143:1114 | 22 |
| 7.ტიტები | 14 | 5 | 9 | 1099:1150 | 19 |
| 8.ბათუმი | 14 | 5 | 9 | 1067:1140 | 19 |
| 9.კაკტუსი | 14 | 4 | 10 | 1078:1204 | 18 |
| 10.რუსთავი | 14 | 2 | 12 | 1011:1135 | 16 |

## შედეგები

**23 მარტი**

**<u>ფეხბურთი</u>**

**ევრო-2020. შესარჩევი ეტაპი**

საქართველო-შვეიცარია ............... 0:2
გიბრალტარი-ირლანდია ............... 0:1
მალტა-ფარერები ............... 2:1
შვედეთი-რუმინეთი ............... 2:1
ბოსნია-სომხეთი ............... 2:1
იტალია-ფინეთი ............... 2:0
ლიხტენშტეინი-საბერძნეთი ............... 0:2
ესპანეთი-ნორვეგია ............... 2:1

**აფრიკა. ერთა თასი**

ბურუნდი-გაბონი ............... 1:1
კამერუნი-კომორი ............... 3:0
ნიგერი-ეგვიპტე ............... 1:1
გვინეა ბისაუ-მოზამბიკი ............... 2:2
ზამბია-ნამიბია ............... 4:1
კოტ დივუარი-რუანდა ............... 3:0
განა-კენია ............... 1:0
მალი-ს.სუდანი ............... 3:0
სენეგალი-მადაგასკარი ............... 2:0

**ამხანაგური მატჩები**

იორდანია-სირია ............... 0:1
ბრაზილია-პანამა ............... 1:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ლატარიის გამარჯვებულმა ახალი ცხოვრების დაწყება გადაწყვიტა



დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ 71 მილიონი ფუნტი სტერლინგი შეადგინა.

ლატარიის ევრომილიონის გამარჯვებულის ვინაობა 20 მარტს დასახელდა. ის ფაბრიკის 58 წლის თანამშრომელი ეიდ გუდჩაილდი გახდა, რომელმაც თავისი გამარჯვება პიცით, ქათმის ცხარე ფრთებითა და იტალიური ლუდით აღნიშნა. მამაკაცმა აღიარა, რომ მაშინვე ვერ ირწმუნა საკუთარი წარმატების, როდესაც გათამაშების შედეგები შეიტყო.

– მე გავიფიქრე: „ოჰო, აი თამაში, ამ კვირაში ბევრი ადამიანი გახდა პრიზიორი, – იხსენებს გუდჩაილდი, – შემდეგ ისევ გადავიკითხე საკუთარი მოგების ოდენობა და მივხვდი, რომ მართლაც მე ვიყავი ერთადერთი გამარჯვებული, რომელმაც 71 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოვიგე.

მან მაშინვე მშობლებს დაურეკა და მოგების შესახებ აცნობა, მისი თქმით, ისინი ამ ახალმა ამბავმა შოკში ჩააგდო.

ლატარიის გამარჯვებულის თქმით, ეს მოგება სრულიად შეცვლის მის ცხოვრებას. ის აპირებს, სამსახურიდან გათავისუფლდეს, წავიდეს სამოგზაუროდ, შეიძინოს ახალი სახლი და დაესწროს საუკეთესო სპორტულ ღონისძიებებს.

## საზრიანმა ძაღლმა ოჯახი დაღუპვას გადაარჩინა



აშშ-ში ძაღლმა სახლის პატრონი მეზობელ სახლში ხანძრის შესახებ გააფრთხილა და ოჯახის სამი წევრის სიცოცხლე გადაარჩინა.

ინციდენტი ფლორიდის შტატის ორინჯის ოლქში ღამის საათებში მოხდა. ძაღლის პატრონი ამბერ უოკერი იხსენებს, რომ იმ ღამით დაძინებას ვერ ახერხებდა. მისი ძაღლი, სახელად ანგელოზი, მის გარშემო ხტუნავდა და მისი ყურადღების მიპყრობას ცდილობდა. ქალმა ფანჯარაში გაიხედა და მეზობელ სახლში ცეცხლი შენიშნა.

– მე და ჩემი ძმა მეზობლის სახლისკენ გავიქეცით და შესასვლელი კარის შემტვრევა დავიწყეთ ბავშვების გადასარჩენად, – ყვება უოკერი. მოგვიანებით შემთხვევის ადგილზე მეხანძრეები მივიდნენ და ცეცხლი ჩააქრეს. შედეგად არავინ დაშავებულა. მიმდინარეობს ცეცხლის გაჩენის მიზეზების დადგენა.

## ტაქსის მძღოლს მანქანაში ფარული კამერები ჰქონდა დაყენებული




ჰონგ კონგში განაჩენი გამოუტანეს ყოფილ ტაქსის მძღოლს, რომელიც მგზავრ ქალებს ფარული კამერებით იღებდა.

2018 წლის სექტემბერში პოლიციელებმა ტაქსის 44 წლის მძღოლი გააჩერეს ალკოჰოლზე შესამოწმებლად და ამ დროს შენიშნეს, რომ მისი ტელეფონი მგზავრ ქალბატონს აჩვენებდა, რომელიც უკანა სავარძელში იჯდა და თვლემდა. ავტომობილის დათვალიერების დროს ერთ-ერთი სავარძლის საზურგეზე ორი ფარული ვიდეოკამერა იპოვეს, რომლებიც იმგვარად იყო დაყენებული, რომ ქალებისთვის კაბის ქვეშ გადაეღო.

ტაქსების კომპანიამ მძინარე ქალს მგზავრობის ხარჯები აუნაზღაურა, რომლის დროსაც მძღოლმა მისთვის 13 ვიდეოს გადაღება მოასწრო. ასევე მამაკაცს უპოვეს 870 ვიდეორგოლი, რომლებიც სხვა ქალებისთვის იყო გადაღებული, რომლებიც მას მანქანით გადაჰყავდა.

მარტის დასაწყისში მამაკაცმა დანაშაული აღიარა. მისი მტკიცებით, ამას ის მხოლოდ საკუთარი თავისთვის აკეთებდა. სასამართლომ ყოფილი ტაქსის მძღოლი ორი ათასი ჰონგკონგური დოლარით დააჯარიმა და ორი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

## უცნაურმა შიშმა მამაკაცს სარკეზე უარი ათქმევინა



ბრიტანელმა სტივენ გილანტმა სარკეში საკუთარი გამოსახულების მიმართ პანიკურ შიშზე ისაუბრა.

მამაკაცის აღიარებით, მას უჩვეულო ფობია ოთხი წლის წინ ნერვული აშლილობის შედეგად გაუჩნდა. მას შემდეგ ის ცდილობს, არ ჩაიხედოს სარკეში და მის მსგავს ზედაპირზე, რომელშიც საკუთარ ანარეკლს დაინახავს. გილანტი დილიდან არ ნახულობს საკუთარ გამოსახულებას და მეუღლესა და ქალიშვილს ეკითხება, თუ როგორ გამოიყურება. სილამაზის სალონში ის ყოველთვის დახუჭული თვალებით ზის, ხოლო ვიტრინებს, ცდილობს, გვერდულად ჩაუაროს.

– მე მშურს იმ ადამიანების, რომლებიც სარკეში ესთეტიკური თვალსაზრისით იყურებიან, რათა თავად შეაფასონ, თუ როგორ გამოიყურებიან. როდესაც თავად ვიყურები სარკეში, მასში ვხედავ უიღბლო და არასრულფასოვან ადამიანს. მე ვერ ვხედავ საკუთარ ფიზიკურ გამოსახულებას, ვხედავ საკუთარ არსს, – განმარტავს მამაკაცი. მისი თქმით, სარკეში ყურების დროს ის იხსენებს საკუთარ შეცდომებსა და იმას, თუ როგორ მიაყენა სხვა ადამიანებს ტკივილი. ეს ყოველივე კი მასში იწვევს პანიკურ შეტევებსა და საკუთარი თავის მიმართ სიძულვილს.

გილანტი რაიმე მკურნალობის ჩატარებას არ ცდილობს. მან ადრე მიმართა ფსიქოლოგს და მიხვდა, რომ ყველაფრის მიზეზი საკუთარი თავის შეუფასებლობა და ღირსების შეგრძნების არქონაა. ბრიტანელმა გადაწყვიტა, რომ საკუთარი თავის მიმართ ზიზღი ისეა მასში ჩამჯდარი, მისგან გათავისუფლებას წლები დასჭირდება, ის კი ამისთვის მზად არ არის.

## უზარმაზარი ნიანგის ძაღლზე თავდასხმა ვიდეოზე გადაიღეს



ავსტრალიაში ნიანგი თავს დაესხა ძაღლს და ის წყლის სიღრმეში ჩაითრია. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი კვინსლენდის შტატში კეიპ-იორკის ნახევარკუნძულის სანაპიროზე მოხდა. კადრებში ჩანს, რომ ორი ძაღლი მდინარის ნაპირთან ქვებზე თამაშობს. შემდეგ უზარმაზარი ნიანგი ამოდის წყლის ზედაპირზე და თავს ესხმის ღია შეფერილობის ძაღლს. ვიდეოს ბოლო კადრებში მტაცებელი მსხვერპლს წყლის სიღრმეში მიათრევს. მეორე ძაღლი არ დაშავებულა.

ფეისბუქზე აღნიშნულმა ვიდეორგოლმა ასეულობით აღშფოთებული კომენტარი მიიღო.

– თითქოსდა იქ სადღაც ზიხარ და არ შეგიძლია, რაიმე, თუნდაც ქვა ისროლო იმისთვის, რომ ძაღლი გადაარჩინო, – წერია ერთ-ერთ კომენტარში.

სოციალური ქსელის ერთ-ერთმა მომხმარებელმა მელინდა ჰენდერსონმა იმედი გამოთქვა, რომ ეს ვიდეო ადამიანებს შეახსენებს ნიანგების სისხლისმსმელობასა და სიფრთხილის დაცვის აუცილებლობას.

## გოგონა ორცხობილების პირში ჩატენის კონკურსს შეეწირა



ინგლისელი გოგონა ბეტან გესკინი ბისკვიტის ორცხობილების პირში ჩატენის კონკურსში მონაწილეობის შემდეგ დაიღუპა.

ინციდენტი ინგლისის ლინკოლნშირის საგრაფოს ქალაქ ბურნეში მოხდა. 24 წლის გოგონა მეგობრის წვეულებაზე იმყოფებოდა და გადაწყვიტა, მონაწილეობა მიეღო ფუდ-ჩელენჯში. მისი პირობების თანახმად, მონაწილემ პირში რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მრგვალი ორცხობილა უნდა ჩაიდოს.

კონკურსის დროს ორცხობილებმა გასკინს სასუნთქი გზები გადაუკეტა და მან გონება დაკარგა. მეგობრებმა ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ხუთდღიანი კომაში ყოფნის შემდეგ გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზი გახდა გულის შეტევა და თავის ტვინის მასშტაბური დაზიანება. მას სამი წლის ბავშვი დარჩა.

## გოგონამ ხორცზე უარის თქმის შემდეგ თმა დაკარგა



დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა გოგონამ ისაუბრა იმის შესახებ, რომ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე უარის თქმის შემდეგ თმა დაკარგა.

ლონდონის მცხოვრები მუსიკოსი ჯესიკა დრიუ ამტკიცებს, რომ ვეგეტარიანელობა გასული წლის აპრილში გადაწყვიტა.

– ჩემი სულ უფრო და უფრო მეტი ნაცნობი ცდილობდა ამის გაკეთებას, – ამბობს გოგონა, – რძის პროდუქტების მოხმარებაზე დიდი ხანია უარი ვთქვი და ვფიქრობდი, რომ ასეთივე წარმატებით შევძლებდი უარის თქმას ხორცზეც.

თავდაპირველად დრიუ თავს უკეთესად და უფრო ენერგიულად გრძნობდა, თუმცა რამდენიმე კვირის შემდეგ შენიშნა, რომ თმის ცვენა დაეწყო.

– მთელი სახლი ჩემი თმით იყო მოფენილი, – იხსენებს მუსიკოსი, – ადგილ-ადგილ თმა საკმაოდ გამოხშირდა, განსაკუთრებით – თავის წინა ნაწილში. ეს მაშფოთებდა, ვინაიდან ჩემს ასაკთან შედარებით გაცილებით უფროსად გამოვიყურები, არადა, მხოლოდ 30 წლის ვარ.

ამის მიუხედავად, დრიუმ ვეგეტარიანელობაზე უარი არ თქვა, რამდენიმე თვის შემდეგ კი თმის ცვენას დაღლილობის შეგრძნება და გამუდმებით ძილისკენ მიდრეკილება დაემატა. დილით გაღვიძება უკვე ისე უჭირდა, რომ იძულებული გახდა, რამდენიმე მაღვიძარა შეეძინა.

სავარაუდოდ, მისი ასეთი მდგომარეობის მიზეზი რაციონში კერატინების არარსებობა გახდა, – ცილების, რომლებისგანაც თმა და ფრჩხილები შედგება. მათ, ხორცისა და თევზის გარდა, სხვადასხვა მცენარეული პროდუქტიც შეიცავს. ამჟამად დრიუ ცდილობს, საკუთარი დიეტა იმ მცენარეული პროდუქტების ხარჯზე გააფართოოს, რომლებიც კერატინებს შეიცავს და პრობლემის მოგვარების იმედი აქვს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სკანვორდი



1. საგანი; 2. ჰიგიენური დაწესებულება; 3. „... შეკაზმავს ცხენს?“; 4. გაოცების გამომხატველი შორისდებული; 5. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში; 6. ხანა, ეპოქა; 7. ბერძნული ანბანის ასო; 8. ვაზების მწკრივები; 9. ბიბლიური ყაჩაღი; 10. საამური ცხოვრება; 11. უკრაინის პარლამენტი; 12. წყლის რწყილი; 13. არყისებრთა იჯახის ხე; 14. სპორტული სატყორცნი იარაღი; 15. ღირებულება; 16. თანრიგი, რანგი; 17. ქალიშვილი (ინგლისურად); 18. უუფლებო ადამიანი; 19. უდანაშაულობის მტკიცებულება; 20. დასვენების დღე; 21. დედმამიშვილი; 22. მიჯნა, საზღვარი; 23. ჰონდურასის ფულის ერთეული; 24. ფოტოგრაფიაში ხმარებული სამჟღავნი ნივთიერება; 25. ნოტი; 26. ბრინჯის არაყი; 27. ვაშლის ღვინო; 28. უბედური შემთხვევა, საშინელი ამბავი; 29. ექსკურსია ქალაქგარეთ დასვენების მიზნით; 30. თამაში ხის ბურთით და ხის ბოთლებით; 31. დედალოსის შვილი ბერძნულ მითოლოგიაში; 32. გეომეტრიული სხეული.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თული; 2. ჯანღი; 3. ალილო; 4. გაუდა; 5. მელაძე; 6. ლიმუზინი; 8. ანტვერპენი; 10. ბარმაქსიზი; 11. პერგამონი; 14. ჰიტროუ; 15. ქაჯაია; 16. სარკე.

**თარაზულად:** 1. თერჯოლა; 4. გემრიელი; 7. ლარნი; 9. კოლბა; 12. მეჩეთი; 13. ატაშე; 14. ჰერეთი; 17. ოპიუმი; 18. ოლიგოფრენია; 19. დიონისე; 20. ვერსია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაჩანა; 2. ივლისი; 3. რიეკა; 5. ბანი; 6. ქართლი; 8. კიანტი; 11. რქაწითელი; 13. ვაუჩერი; 14. ვარიეტე; 15. ჰამლეტი; 19. პაბი.

**თარაზულად:** 1. ბუდვაიზერი; 4. თამბაქო; 7. ჩაკრულო; 9. კალიბრი; 10. თრუსო; 12. კინტრიში; 16. დისკუსია; 17. მუხიანი; 18. ბიდსტრუპი; 20. ლიბრეტო; 21. ფიცი; 22. სერფინგი.

## ასტროპროგნოზი 25 მარტისთვის



**ვერძი** – ვარსკვლავების კეთილგანწყობა გიბრუნდებათ. მძიმე პერიოდი დამთავრდა. გელით საინტერესო ახალი ნაცნობობა. **კურო** – მიუხედავად დაძაბულობისა, სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გაუფრთხილდით ურთიერთობას კოლეგებთან. **ტყუპები** – სწორი კვება და ფიზიკური დატვირთვა ჯანმრთელობის მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. **კირჩხიბი** – ნებისმიერი უსიამოვნება ემოციის გარეშე მიიღეთ. საკმაოდ მშვიდი დღეა. **ლომი** – ნერვულ გადაღლილობას სუფთა ჰაერზე სეირნობა და მეგობრებთან ურთიერთობა მოგიხსნით. ნოსტალგია შემოგიტევთ. **ქალწული** – როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში საინტერესო მოვლენებს ელოდეთ. ახალი საქმე შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ. **სასწორი** – ეცადეთ, თქვენი გეგმები ახალგაცნობილ ადამიანებს გაანდოთ. სასარგებლო რჩევებს მიიღებთ. **ღრიანკალი** – განმარტოება, მშვიდ გარემოში ფიქრი სასიკეთოდ წაგადგებათ. საღამო განსაკუთრებით კეთილისმყოფელი იქნება. **მშვილდოსანი** – პარტნიორთან ჰარმონიული ურთიერთობა თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზეა დამოკიდებული. პროვოკაციებს არ წამოეგოთ. **თხის რქა** – წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ რეალობას ადეკვატურად შეაფასებთ. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. **მერწყული** – სულიერ კმაყოფილებას გრძნობთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. **თევზები** – მრავალ თქვენგანს დიდი ხნის ოცნება უსრულდება. შესაფერისი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# თინა მახარაძეს მუსიკალური გემოვნება დაუწუნეს



მსახიობ თინა მახარაძეს მუსიკალური გემოვნება დაუწუნეს. მის მიერ დასახელებულმა 5-მა საყვარელმა მუსიკალურმა კომპოზიციამ საზოგადოების კრიტიკა დაიმსახურა.

ინტერნეტმომხმარებლების უმრავლესობამ თინას პეროიანი უწოდა, რამაც მსახიობის განაწყენება გამოიწვია:

– შე საძაგელო, საძაგელო, როგორც დედამოტ..ულოს ევფემიზმი, რატომ მიშიშვლია „პერო“, იმიტომ რომ მუსიკას ვუსმენ და მეტ-ნაკლებად მკაფიოდ ვაყალიბებ სათქმელს თუ იმიტომ, რომ სათქმელი მაქვს?

მე კი ვცხოვრობ ჩემთვის უბედნიერესად, მაგრამ ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობა რომ ასეთი ბანძი ტიპებით არის დაკომპლექტებული და ასეთ ბანძ იუმორზე ხურდება, სხედან ბარებში და ერთმანეთს ყველაფერს ატოლებენ, რაც აქვთ დასატოლებელი ან, ძირითადად, არ აქვთ, ეგ არის სევდიანი საყურებელი, მით უმეტეს იქიდან, საიდანაც მე ვიყურები თანაგრძნობით.

აი, ეს სია რომ ყოფილიყო დაკომპლექტებული მერაია ქერით, ტონი ბრექსტონით, ვესტლაიფის სოლედადით, ანსამბლი „ჰაიდა“ და კრისტინა ორბაკაიტეს ნებისმიერით, მაშინ უფრო თესლი ხუმრობები დაიდებოდა.

ამრიგად, საქართველოში, იმისთვის რომ პატივი გცენ ან, როგორც მინიმუმ, არ გაქილიკონ, უნდა იყო საშუალო, არც ცუდი უნდა იყო და არც კარგი.

იყო საშუალო, არის საშუალო სტატისტიკური ქართველისთვის ყველაზე მოსაწონი პოზიცია სხვა საშუალო სტატისტიკური ქართველის მხრიდან. თუ ხარ საშუალო, ხარ ჯიგარი.

# პაატა შამუგია მწერლებზე თავდასხმას აპროტესტებს

პოეტი პაატა შამუგია მწერლებზე თავდასხმას აპროტესტებს და მოუწოდებს მთავრობას, ყელში გაჩხერილ მწერლებს თავი დაანებოს:

– რამდენიმე დღის წინ ერთმა ონლაინტელევიზიამ მწერლებისთვის მოიცალა. კომსომოლას პათოსის მქონე ახალგაზრდამ, რომელმაც, უნამუსობაც ასეთი უნდა, აკაკი ბაქრაძის ტერმინი „მწერლობის მოთვინიერება“ გამოიყენა იმ მწერლების მისამართით, რომლებიც სწორედაც რომ ვერ მოათვინიერა ხელისუფლებამ და, როგორც ჩანს, ყელში ჰყავს გაჩხერილი.

სხვა რას შეიძლება დავაბრალოთ ის, რომ შსს მინისტრის ყოფილი მოადგილის ლაშა ნაცვლიშვილის სახელობის ონლაინტელევიზია და სუსი ერთი ახალგაზრდის უმწიფარი ვიდეობლოგის გავლით ცდილობდა მწერლებზე თავდასხმას. სხვათა შორის, ეს უკეთესი მეთოდი იყო, გილოცავ, სუს-ო! ადრე ანონიმურ ტროლებს მოგვისევდნენ ხოლმე. ამ ახალგაზრდა ლექტორმა, ლექტორი ვარო, ირწმუნება, ისეთ ამბავში გვამხილა, როგორიცაა ბანკთან თანამშრომლობა. რას გულისხმობს, რთული სათქმელია, ალბათ მწერლები ბანკის კლიენტებთან მიდიან ყოველი თვის ბოლოს და დაგვიანებულ ვალებს ძალის გამოყენებით იღებენ? და თუ ვერ იღებენ, მერე ლაშა ბუღაძე რადიო „თავისუფლების“ გვერდზე კრიტიკულ ბლოგებს უწერს? იქნებ სესხი გამოაქვთ ალვირახსნილი შეღავათებით, სხვათა შორის, მე სესხი „თიბისის“ კონკურენტ ბანკში მაქვს, „თიბისიმ“ უბრალოდ არ მომცა.



აჰა, გასაგებია, პრემია „საბას“ ლაურეატები არიან და მაგ პრემიას ხომ „თიბისი“ აფინანსებს. რამხელა კომპრომატია! ჭეშმარიტი ლექტორი ყოფილა ეს ადამიანი, ვერაფერს იტყვი. საერთოდ, ამ ადამიანს ვინმე კეთილისმყოფელმა უნდა აუხსნას, რომ პრემიებს ზოგადად მდიდარი ადამიანები აფინანსებენ: მაგნატები, ბანკირები, ბიზნესის ელიტები, ღარიბებს, გეცოდინებათ, უჭირთ დიდი პრემიების დაფინანსება და შემდეგ ამ მდიდარი ადამიანების მიერ დაარსებულ პრემიებთან, მაგალითად, ბიზნესმენ ნობელთან, მედიამაგნატ პულიცერთან, კვების წარმოების მონოპოლისტთან ბუკერთან „თანამშრომლობენ“ ისეთი საკვანძო ადამიანები, როგორებიც არიან: სელმა ლაგერლოფი, გაბრიელ გარსია მარკესი, თომას მანი, ჰერმან ჰესე, ტონი მორისონი... და თითქმის ყველა.

მაგრამ მოკლე ჭკუა იმისაა, ეს რაღაცები არ იცოდე. ან იცოდე, მაგრამ იმის გამო, რომ ხელისუფლებას ასიამოვნო, შენი მოკლე ჭკუით, ეცადო, ორი კურდღელი დაიჭირო, თან იმ ბანკსაც დაარტყა, რომელსაც ხელისუფლებამ დეკადის წინანდელი საქმე შეუკერა და თან იმ ხალხსაც გაუსწორდე, რომელიც ხელისუფლებას ყველა ნაბიჯს უკრიტიკებს. აბა, ახლა, ხელისუფლებას ხომ არ გააკრიტიკებ, სასამართლო რომ ჩაიჯიბა, შვილმკვდარ მამებს სამართლის პოვნის შანსი რომ დაუკარგა და საერთოდაც, თავზე რომ გადაიმასაქნა.

მოკლედ, მე რაც ამ ცხოვრებამ მასწავლა, ისაა, რომ შესაკრებთა გადანაცვლიშვილებით ჯამი არ იცვლება და, შესაბამისად, სისულელეს ტროლი იტყვის თუ გახამებულპერანგიანი კომსოლა, სულ ერთია.

მეტი გამოხმაურების ღირსი არ ხართ. მინიმალურ მორალურ და ინტელექტუალურ სტანდარტებს მაინც უნდა აკმაყოფილებდეთ, თქვენთვის რომ დრო დავხარჯო.

# კომპოზიტორი ალინა ცხომარია გარდაიცვალა

არაერთი ცნობილი და პოპულარული სიმღერის ავტორი, კომპოზიტორი ალინა ცხომარია გარდაიცვალა.



**სამწუხარო ინფორმაცია მამუკა ლომაშვილმა გაავრცელა:**

– გარდაიცვალა ალინა ცხომარია... ქალბატონი, რომელიც ძალიან ბევრ სიკეთესთან, შემართებასთან ასოცირდება... წარმოუდგენელია აგრარული უნივერსიტეტიც მის გარეშე... წავიდა ამქვეყნიდან და დაგვიტოვა სიმღერები, რომლებიც დარჩება სამარადჟამოდ მის მოსაგონებლად... როგორ უნდოდა, მისი ბოლოდროინდელი დაწერილი სიმღერები გაჟღერებულიყო... ძალიან გული მწყდება, რომ ასე წავიდა ამ ქვეყნიდან... მშვიდობით, ჩემო მეგობარო...

**კომპოზიტორი რეჟისორმა გოგა გეგელიამაც გაიხსენა:**

– კიდევ ერთმა დიდებულმა ადამიანმა დაგვტოვა. გარდაიცვალა ალინა ცხომარია, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი, არაჩვეულებრივი ადამიანი და დიდებული კომპოზიტორი, არაერთი ცნობილი და პოპულარული სიმღერის ავტორი... მისი შემოქმედება და ცხოვრება ნამდვილი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო ადამიანი საყვარელ საქმეს... მშვიდობით, მეგობარო, მადლობა, რომ იყავი ამ ქვეყანაზე...

# რატომ არის დემნა გვასალიას „ვეტმანი“ ძვირი?

დემნა გვასალიას ბრენდი „ვეტმანი“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ბრენდია.



– რატომ არის ვეტმანი ასეთი ძვირი? – ამ კითხვით უცხოელმა ჟურნალისტებმა დემნას ძმას, „ვეტმანის“ ფინანსურ დირექტორ გურამ გვასალიას მიმართეს:

– პირველი, ჩვენ ბრწყინვალე ფაბრიკებთან ვმუშაობთ. ეს ფაბრიკები იაფი არ ღირს. დემნას მოსწონს მოლტონის გამოყენება, ჩვეულებრივ ბამბასთან შედარებით, გაცილებით მძიმეა. 480 გრამია 240 გრამის მაგივრად, რაც ფასს აორმაგებს. უნდა გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ დიდ ზომებს ვკერავთ. სტანდარტული 1.5 მეტრია, ჩვენ 4.5 მეტრს ვიყენებთ, რადგან ოვერსაიზი გამოვიდეს. ამის გარდა, ჩვენთვის რაოდენობის შეზღუდვა მნიშვნელოვანია. თუ სხვები ათასობით მაისურს უშვებენ, ჩვენ შეზღუდული რაოდენობით ვაწვდით, რაც ყველაფერი ფასზე აისახება.

***– ჯინსი რატომ ღირს ათასი ფუნტი?***

– ჩვენი ჯინსი, რომელსაც ყველა აკოპირებს, 2 ჯინსის გამოყენებით იკერება. 1 ჯინსი ღირს 30 ფუნტი, ორი – 60. ჩვენ ჯინსებს პარიზში ვკერავთ. ჩვენი ფრანგი მკერავი 1 საათში იღებს 20 ფუნტს. 1 ჯინსის გაკეთებას სჭირდება 6 საათი. ამას ემატება 60 ფუნტი, 20 ფუნტი შეფუთვა ჯდება. შემდეგ ემატება თანხა, რომელიც სჭირდება დიზაინერს, რომ გადასახადები გადაიხადოს და გასწორდეს გადასახადებთან, რომელსაც ემატება თანხა, რათა მოგება დაგვრჩეს.

# სამგლოვიარო განცხადებები

## პლატონ (თემურ) ხურცილავას გახსენება



თემურ ხურცილავა დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხეთაში 1951 წლის 9 მარტს. 1968 წელს დაამთავრა ხეთის საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ შეისწავლა ტრანსპორტის მართვა და ჯერ სოხუმში ქალაქის ავტობუსზე მუშაობდა მძღოლად, ხოლო შემდეგ, რამდენიმე წელიწადში, დაუბრუნდა თავის სოფელს და ხეთიდან 20-ოდე კილომეტრში, ქ. ზუგდიდში დაიწყო მუშაობა მძიმე ტვირთების გადამზიდავ ტრანსპორტზე.

1982 წლის 6 დეკემბერს დღის მე-2 ნახევარში თემური 8 ტონა ცემენტით დატვირთული მანქანით მიდიოდა ზუგდიდიდან მესტიაში. გზაზე თემურმა მეხუთე-მეექვსე კლასის მოსწავლეები – ნაცნობი სვანის ბავშვები ჩაისვა მანქანაში და გაუდგა გზას მესტიისკენ. 4 კილომეტრიღა ჰქონდა დარჩენილი მესტიამდე, როდესაც მკვეთრ მოსახვევში მანქანის საჭე დაატრიალა მარჯვნივ. უცებ მანქანა წავიდა მარცხნივ. სწორედ ამ დროს აღმოაჩინა თემურმა, რომ საჭე მოშლილი იყო და ეს ორივე ბავშვი მოისროლა მარჯვენა კარიდან. მან ორივე გადაარჩინა დაღუპვას, თვითონ კი მანქანიანად უფსკრულში გადაიჩეხა.

თემურს მესტიაში მკურნალობდა ექიმი უჩა უდესიანი, აგრეთვე სხვა ცნობილი ექიმები სხვადასხვა საავადმყოფოში, მაგრამ ვერაფერი უშველეს და მეცხრე დღეს გარდაიცვალა.

კეთილო ადამიანო, თემურ, შენ ყოველთვის უკვდავი გმირი იქნები შენი ახლობლებისა და ყოფილი კლასელებისთვის.

***ხობის რაიონის სოფელ ხეთის საშუალო სკოლის 1968 წლის კურსდამთავრებულები***

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პოეტი ომარ თურმანაული გარდაიცვალა

პოეტი, პროზაიკოსი და მთარგმნელი ომარ თურმანაული გარდაიცვალა. შემოქმედი საფრანგეთში ცხოვრობდა, იგი სტრასბურგის საავადმყოფოში მკურნალობდა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.



„მიწად იქცევიან ეს ჩემი.... ხელები... მიწად იქცევიან ეს ჩემი... თვალები... მიწად იქცევიან ეს ჩემი... ბაგენი.... მიწად იქცევა ეს ჩემი.... ეს ჩემი... მარა, ამ ჩემ ფეხებს... რომლებიც ასევე მიწად იქცევიან!“ – პოეტის ამ იუმორისტულ ჩანაწერს თავის დროზე მკითხველის დიდი გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა მისმა გარდაცვალებამ უდიდესი სევდა შესძინა მის ერთ-ერთ სტროფს:

„ჩვენ ჩვენი წილი ვიდარდეთ, დანარჩენი კი, იდალგო, როცა ჩვენ გაგვასვენებენ, გამსვენებლებმა იდარდონ...“

**ინფორმაცია ომარ თურმანაულის გარდაცვალების შესახებ პოეტმა შოთა იათაშვილმა გაავრცელა:**

– სახლში რემონტი გვაქვს. გორად აზვირთებულ წიგნებს ვახარისხებდი და უკან, კარადებში ვალაგებდი. ომარ თურმანაულის „ცოდვები და გვირილები“ მომხვდა ხელთ და გული გადამიქანდა. ბოლო დღეებს ითვლიდა ჩემი ძმა-პოეტი სტრასბურგის საავადმყოფოში.

მეორე დღეს რუმინეთში მივფრინავდი და თან წავიყოლე წიგნი. უფრო მძაფრად მინდოდა ყოფილიყო ფიქრებში ჩემთან ერთად. ვიჯექი თვითმფრინავებში და მის ასე ძვირფას ლექსებს კიდევ ერთხელ ვკითხულობდი. რაღაცების ჩანიშვნაც დავიწყე ბლოკნოტში. აქამდე რომ ვერ ვაღირსე, ახლა მომინდა, წერილი დამეწერა მის პოეზიაზე. მივწერე კიდეც: რა ცუდები ვართ ადამიანები, მაინცდამაინც ავად უნდა გამხდარიყავი, რომ ამის სურვილი გამჩენოდა-მეთქი? სხვაც ბევრი რამე ვწერე. სელფი გადავიღე მის წიგნთან ერთად და გავუგზავნე. რა მექნა, რაც შემეძლო, ვცდილობდი, შემეგულიანებინა, ჩემი სიყვარული გამომეხატა. ჯიგარი ხარო, მომწერა, ბევრი მაქვს შენთან მეც სალაპარაკოო. დამირეკა ერთხელაც ფეისბუქის ჩატით და მაინცდამაინც მაშინ მქონდა გამორთული. ძალიან ვდარდობ ახლა, რა ეშმაკმა გამათიშვინა მაინცდამაინც მაშინ...

პირობას კი, ვიცი, შევუსრულებ, დავუწერ მოგვიანებით მაინც იმ წერილს... აღარ წერდა ბოლოს ლექსებს, არც საქართველოში იყო და კარგადაა, ამიტომ, თავიდანაა გასახსენებელი მისი არაჩვეულებრივი პოეზია. მიყვარხარ ომარ, ჩემს გულში იქნები მუდამ, ჩემს მოგონებებში იქნება ერთად გავლილი წლები, რუსთაველზე ერთად დგომა წიგნის გამყიდველებად, ღარიბული სუფრები 90-იან წლებში, თუ საფრანგეთის პოეტური ფესტივალები... ნათელში გამყოფოს ღმერთმა.

ომარ თურმანაული ბესიკ ხარანაულის ნაწარმოებებს ფრანგულად თარგმნიდა. ფრანგულ ენაზე უკვე დაიბეჭდა ბესიკ ხარანაულის რომანი „წიგნი ამბა ბესარიონისა“. ბოლო პერიოდში კი თარგმნიდა ბესიკ ხარანაულის მომდევნო წიგნს „ეპიგრაფები მივიწყებული სიზმრებისათვის“.

**ბესიკ ხარანაული:**

„ომარ თურმანაულს, ფშაველს, უცხო მიწაზე გადახვეწილს, რომელთანაც ერთხელ ცოდვები გავაზიარე“ – ასეთი მიძღვნა ექნება ჩემს ბოლო წიგნს, რომლის დედანსაც ომარი კითხულობდა ბოლო დღეებში... თარგმნაც დააპირა, მაგრამ ორშაბათს დამირეკა: ვერ ვასწრებ, ბესიკო... სიტყვები არ მყოფნის...

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

25 მარტისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6821 | ევრო — 3.0327 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5254 | 100 რუსული რუბლი — 4.1751 |

## ამინდის პროგნოზი 25 მარტისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

### „მე მიყვარს კითხვა“




26 მარტიდან

იროდიონ ევდოშვილი

**რჩეული მოთხრობები**

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

22 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

**შემეცნებითი მოთხრობები**

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

15 მარტიდან

ანდრე ჟიდი

**ცოლთა სკოლა**

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი





## ჩინელს ცოცხალი მატლების ჭამამ თავი რეანიმაციაში ამოაყოფინა



ჩინელმა ქალმა ხალხური მედიცინის რჩევებით იხელმძღვანელა და მატლების ჭამას მიჰყო ხელი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალი ასეთი საშუალებით ცდილობდა ფილტვის კიბოს განკურნებას.

ინციდენტი ჩინეთის ქალაქ სიანში მოხდა. 2016 წელს ქალის მარცხენა ფილტვში ავთვისებიანი სიმსივნე იქნა აღმოჩენილი და შემდგომი სამი წლის განმავლობაში ის უშედეგოდ ცდილობდა მასთან ბრძოლას. სასოწარკვეთილმა ქალმა გადაწყვიტა, ხალხური მედიცინით ესარგებლა, რომელიც თითქოსდა სწრაფი განკურნების გარანტიას იძლეოდა და ცოცხალი მატლების ჭამა დაიწყო.

არასტანდარტული მკურნალობის დაწყებიდან ერთი თვის თავზე ქალმა საავადმყოფოს მკერდისა და კუჭის არეში მწვავე ტკივილებით მიმართა. მაშინ მან აღიარა, რომ მტანჯველი კრუნჩხვების გამო ბოლო დროს უძილობამაც გააწამა. ქალი სასწრაფოდ საავადმყოფოში მოათავსეს და გასტროსკოპია ჩაუტარეს.

სამედიცინო გამოკვლევის ჩატარების შემდეგ ექიმები გაოგნებული დარჩნენ, როდესაც ავადმყოფის კუჭში მოფუთფუთე მატლების გროვა აღმოაჩინეს. მას ანტიგელმინტური წამლებით მკურნალობა დაუნიშნეს, რის შემდეგაც ტკივილები შეუწყდა. ექიმებმა ქალი გააფრთხილეს, რომ ხალხური მედიცინა მისი სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია და დაბეჯითებით ურჩიეს, თვითმკურნალობას მოერიდოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ცოლმა ქმარს სთხოვა:
– წადი, ბავშვი დააძინე.
ნახევარი საათის შემდეგ ცოლმა ბავშვის ოთახში შეიხედა და დაბალი ხმით იკითხა:
– დაიძინა?
– ჰო, დედიკო, სძინავს.

●●●

გოგო ბიჭს ეკითხება:
– ჩემთვის ხელების ფათურსა და სექსზე დაყოლიებას ნამდვილად არ აპირებ?
– არა, არა, პრეზერვატივიც კი არ წამომიღია.
– მე კი მაქვს.

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:
– სად დაეთრეოდი მთელი ღამე?
– საყვარელთან!
– რას ბოდიალობ, სულელო? 50 წლის ხარ... დაეგდე და დაიძინე, მოეშვი მაგ ფანტაზიორობას!

●●●

მკითხავი მამაკაცს ეუბნება:
– თქვენ ორი ბავშვის მამა ხართ...
– გეშლებათ, სამი ბავშვის მამა ვარ.
– მე კი არა, თქვენ გეშლებათ...

●●●

სახლში დაბრუნებული ქმარი ცოლს ეუბნება:
– გინდა, ახალი სკანდალური ამბავი მოგიყვე?
– მიდი აბა...
– მთელი ხელფასი დავხარჯე...

●●●

გეოგრაფიის გაკვეთილი, მასწავლებელი შეკითხვას სვამს:
– აბა, ბავშვებო, მითხარით, სად აღმოვჩნდებით, თუკი დედამიწას ჩრდილოეთ პოლუსზე გავბურღავთ?
– საგიჟეთში!

●●●

ბრალდებულს ეუბნებიან:
– თქვენ მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა თქვენ წინააღმდეგვე იქნება გამოყენებული.
– ანანასები, ოკეანე, პალმები!

●●●

ტელეფონი რეკავს და ქალის ხმა კითხულობს:
– ალო, ეს ქალთა კონსულტაციაა?
– დიახ, რით შეგვიძლია დაგეხმაროთ?
– მითხარით, მუხრუჭის სატერფული მარჯვნივაა თუ მარცხნივ?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მამაკაცმა კოლეგებთან ერთად ლატარიაში მილიონი მოიგო და გაუჩინარდა




კანადაში სანათების მწარმოებელი ქარხნის ოთხმა თანამშრომელმა თავიანთი ყოფილი კოლეგის წინააღმდეგ, რომელმაც ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა, სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. მოსარჩელეები ირწმუნებიან, რომ მათ ფული შეაგროვეს და ერთად ითამაშეს ლატარია, თუმცა თავიანთი ფული არ მიუღიათ.

ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის ქალაქ სურეის მცხოვრები მუშები ამტკიცებენ, რომ 2018 წლის 12 დეკემბერს მათ ჰუნგ სენსუვანთან ერთად ექვს-ექვსი კანადური დოლარი შეაგროვეს ლატარიის ბილეთის შესაძენად. ლაოსიდან კანადაში სამუშაოდ ჩამოსულმა სენსუვანმა ბილეთის ყიდვა საკუთარ თავზე აიღო.

ორი დღის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ბილეთი იღბლიანი გამოდგა – მოგებამ ერთი მილიონი კანადური დოლარი შეადგინა. თუმცა სენსუვანი ამის კოლეგებისთვის გამხელას არ ჩქარობდა. მან მოგებული თანხა 17 დეკემბერს აიღო, ხოლო ინტერვიუში განაცხადა, რომ მოგებული ფულით ყველა ვალს გაისტუმრებდა, სამშობლოში დაბრუნდებოდა და დარჩენილ თანხას შვილებს გაუნაწილებდა.

ქარხნის თანამშრომლებმა კოლეგის მოგების შესახებ სოციალური ქსელებიდან შეიტყვეს. ისინი სენსუვანთან დაკავშირებას შეეცადნენ. თავდაპირველად ის მათთვის პასუხის გაცემას თავს არიდებდა, შემდეგ კი ფულის მიცემაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ მათ ლაოსელსა და მის ოჯახს სასამართლოში უჩივლეს. ყოველი მათგანი საკუთარი წილის, 200 ათასი დოლარის მიღებას ითხოვს.

## ძუ ლომებმა ხვადს ბოკვერების გადასარჩენად ბრძოლა გაუმართეს



აგრესიული მამრი ლომის მიერ სხვისი პრაიდის დასაკუთრების მცდელობა ვიდეოზე გადაიღეს, რომელიც ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში კრიუგერის ეროვნულ პარკშია გადაღებული. კადრებში ჩანს, თუ როგორ ებრძვის ორი ხვადი და სამი ძუ ლომი მტაცებელს, რომელიც პრაიდში ლიდერის ადგილის დასაკავებლად მოვიდა. ძუ ლომები ბრძოლაში მას შემდეგ ჩაერთვნენ, რაც აგრესორმა მათ ბოკვერებს დაუღრინა.

რაღაც მომენტში ბრძოლა ჩაცხრა, მაგრამ დამპყრობელი დანებებას არ აპირებდა და ისევ თავს დაესხა ერთ-ერთ ძუ ლომს, იმ წამსვე მას ხვადი გამოექომაგა, შემდეგ კი დანარჩენებიც ჩაებნენ ბრძოლაში. საბოლოოდ მათ პრაიდის შენარჩუნება შეძლეს.

## 71 წლის მამაკაცმა იდაყვებზე დგომის რეკორდი დაამყარა




აშშ-ის მკვიდრმა 71 წლის მამაკაცმა იდაყვებზე დაყრდნობით დგომში 38 წუთი გაძლო და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

მინესოტის შტატის ქალაქ მინეტონკის მკვიდრმა, 71 წლის ენდი შტაინფელდტმა, მსოფლიო რეკორდი თავის ასაკობრივ კატეგორიაში დაამყარა. მიღწევა ოფიციალურად დააფიქსირეს გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა. მან მოახერხა, ერთი წუთითა და ორი წამით გაეუმჯობესებინა ადრინდელი რეკორდსმენის შედეგი.

შტაინფელდტმა განაცხადა, რომ არც ისე დიდი ხნის წინ პროსტატის კიბოს მკურნალობის კურსი გაიარა. მას იმედი აქვს, რომ მისი რეკორდის წყალობით ადამიანებს სირთულეების დაძლევისა და პოზიტიურად აზროვნების მოტივაცია გაუჩნდებათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ფრანგი მწერალი; 3. აზერბაიჯანული საჭმელი, კატლეტის მსგავსი; 8. მართკუთხა სამკუთხედის გვერდი; 9. დიდი ფრინველის ფრენა; 14. სახელმწიფო აზიაში; 15. უკრაინის მარცხენა ნაპირის ჰეტმანი; 17. უკრაინის პარლამენტი; 20. პატარა მგალობელი ჩიტი; 22. მძიმე სამხედრო მანქანა; 23. სამიჯნურო ურთიერთობა ქალ-ვაჟს შორის; 25. წილი ბიზნესში; 26. სადეზინფექციო სითხე; 27. აღმოსავლეთი; 28. ციტრუსი.

**შვეულად:** 1. თვალის გუგა; 2. ბუნებრივი საღებავი; 3. ხამი ტყავის შინნაკეთი ფეხსაცმელი; 4. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 5. მდინარის სადენი ჩაღრმავება; 6. კათოლიკეთა წირვა; 7. სწორი ბალახოვანი ადგილი; 10. ფირნიში; 11. კრაველის ქუდი; 12. გეომეტრიული სხეული; 13. თავის ჩონჩხი; 16. სურათი ზღვის ხედით; 18. ეთერზეთების შემცველი სურნელოვანი მცენარე; 19. უფლისწული; 21. წყლისპირა მცენარე; 24. შარავანდედი.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**